

# კურთღმ. რეგიონი



2025, 2, №40

ივერიის ღვთისმშობლის ხატმა  
ტაღლებთან ერთად გასცურა

დიდგორობა ახალგაზრდობის  
საყვარელი ზეიმია

დიდი ევროპელები საქართველოში

აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი:  
თანამედროვე სტატუსი და პერსპექტივები

პალიასტომის ტბა ადამიანის საიდუმლოს  
ქარგად ინახავს

ბიომრავალფეროვნებით მდიდარი  
გურია

პროფესორ ჟორდანას და  
 პროფესორ ხომასურიძის  
 რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი



## სარჩევნი

ათონის მთის ივერიის ღვთისმშობლის ხატი .....	4
ყოველი საქართველო: მესხეთი და ქანეთი .....	6
...შურსა და ცილზე ამალღებული... ..	9
დიდი ევროპელები საქართველოში.....	11
დავით აღმაშენებელი .....	13
აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი .....	15
არჩილ ხომასურიძის სასიხარულო შეთავაზება.....	17
აპის რეზისტენტი .....	18
კოლხური ტყე .....	19
პალიასტომის ტბა .....	22
თბილისი ტაშს უკრავდა.....	23
ვაჟა გოგოლაძე 100 .....	25
თათია გაბუნია – წარმატებული მეკარე .....	27
ნუკი .....	28
ანეკდოტები.....	30

ქრნალი თაჱისუფალი ჰრანის ჰრინციჱით ხალმძჱანალოხს,  
რადაჱციიჱი ჱამოსალი მასალაჱის სიჱუსტაჱა ჰასუხს აჱაბს აჱბორი,  
ხოლო სარაჱლამო ტაჱსტაჱა ჰასუხისმგაბლოჱა რაჱლამის ჱამაჱეთს აჱისრაჱა.

მოგვანოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები,  
გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები.

e-mail: [lelasurmava1@gmail.com](mailto:lelasurmava1@gmail.com)

## სარეკლამო შეთავაზება

გურიაRegion შემეცნებით-საგანმანათლებლო ხასიათის ყოველთვიური ჟურნალია. პუბლიკაციები ტურიზმის, დაცული ტერიტორიების შესახებ, სამედიცინო თემებზე, ქართველი მენარმეების საქმიანობასა და წარმატებებზე ქვეყნდება. ჰყავს ბევრი მკითხველი. გურიაRegion საქართველოს უმეტეს არეალში ვრცელდება, მაგალითად, ქალაქებში – თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, რუსთავში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში.

– A4 ფორმატის ერთი გვერდი შავ-თეთრი რეკლამის განთავსების ღირებულება 300 ლარია.

– A4 ფორმატის ერთი გვერდი ფერადი რეკლამის განთავსების ღირებულება 600 ლარია.

გრძელვადიანი თანამშრომლობისას ფასდაკლება მოქმედებს.

საკონტაქტო პირი: ჟურნალის რედაქტორი ლელა სურმავა.

**მოგილური ტელეფონი: 558 256 550**

# ივერიის ღვთისმშობლის ხატი

## ზეალიართა და ტალღებთან ერთად დასავლეთისკენ გასცურა



ივერიის ღვთისმშობლის ხატი

ქრისტეს შობიდან IX საუკუნეში ხატმებრძოლი მწვალებლების სენით შეპყრობილი იმპერატორის, თეოფილეს მეფობის დროს, ხატებს სასტიკად დევნიდნენ. ხატთა თაყვანისმცემლებს კი, აწამებდნენ. წმინდანების გამოსახულებები გაჰქონდათ და წვავდნენ. ყველა ქალაქსა თუ სოფელში აგზავნიდნენ საიდუმლო მზვერავებს, შენახულ ხატებს მეფის ბრძანებით ანადგურებდნენ.

მცირე აზიის ქალაქ ნიკეასთან

ცხოვრობდნენ მდიდარი, კეთილმსახური, ქველმოქმედი ქვრივი და მისი ვაჟი. ჰქონდათ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, ქვრივმა სახლის ახლოს ეკლესია ააშენა, ხატი დააბრძანა და გულმხურვალედ ლოცულობდა.

ერთხელ ქვრივის სახლში მეფის მზვერავები მივიდნენ, თვალი მოჰკრეს ღვთისმშობლის ხატს. განრისხებულმა მზვერავმა მახვილი დაჰკრა, მაშინვე ქალწულის ლოყიდან, როგორც ცოცხალი სხეულიდან, სისხლი გადმოედინა. შემინებულმა მზვერავმა ქვრივს ხატის გადამაღვა ურჩია.

ქვრივი ვაჟთან ერთად ეკლესიაში შევიდა, მუხლმოდრეკილი დიდხანს ევედრა ღვთისმშობელს, ცრემლით დააღბო მინა, შემდეგ ხატი ზღვის ნაპირთან წააბრძანეს, ლმოებიერად შეჰვედრეს მარადის ქალწულს; დედოფალო, შენ, ვითარცა ღვთისმშობელს ძალგმის, ჩვენ გვიხსნა უკეთური მეფისგან, ხოლო შენ განადგურებისგან. ქვრივმა ხატი ზღვაში ჩაუშვა, სასწაული იხილა, ხატი წყალზე აღიმართა და ტალღებთან ერთად დასავლეთისკენ გასცურა. უფალს მადლობა გადაუხადა, ხოლო შვილს უთხრა; ჩვენი ნადილი ასრულდა, ამაო არ იყო ღვთისადმი ჩვენი მსახურება და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კეთილმონყალება.

ახლა მისი სიყვარულისთვის მზად ვარ, მტანჯველთა ხელით მოგვეკვდე. ხოლო შენ გთხოვ, აქედან მალე წადი. ვაჟმა დედის დარიგება მორჩილად მიიღო, დაემშვიდობა და თესალონიკში გაემგზავრა. შემდეგ ათონის მთაზე დასახლდა, სადაც მოგვიანებით ივერთა მონასტერი



ქვრივი დედაკაცის მიერ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ზღვაში ჩაშვება

ააშენეს. იგი მონოზვნად აღიკვეცა. ღვთის ღვანლით იცხოვრა და კეთილად აღესრულა.

ათონის მთაზე სწორედ მან უამბო მეუდაბნოე მამებს ქვრივის მიერ ხატის ზღვაში ჩაშვების შესახებ.



ივერიის ღვთისმშობლის ხატს სადღესასწაულო ლიტანიოებით მიაბრძანებენ ზღვის ნაპირას



ივერონის მონასტრის მთავარი ტაძარი



ტაძარი, სადაც ამჟამად დაბრძანებულია ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი



წყარო, რომელმაც ამოხეთქა ღირსი მამა გაბრიელის მიერ ზღვიდან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის გამობრძანების ადგილთან



გაბრიელ ქართველის მიერ ღვთისმშობლის ხატის გამოყვანა

## ყველა შეიჭყოს თქვენი სავანისადმი ჩემს სიყვარულსა და წყალობას

XI ს-ის დამდეგს დიდ მარხვაში, ივერთა მონასტრის ბერებმა იხილეს ზღვაზე აღმართული ნათლის სვეტი, რომელიც ღმრის წყვილია ბრწყინავდა, არ ქრებოდა. დღისით ზღვის ტალღებზე მდგომი ღვთისმშობლის ხატიდან სინათლე მოდიოდა. მამები ნავებით მიახლოვებას ცდილობდნენ, მაგრამ სინამდვილე შორდებოდა, ათონის მოღვაწეები ზღვასთან შეიკრიბნენ, თითქოს მტრელების გუნდმა დაჰფარა ზღვის ნაპირი. ბერები ზეციურ დედოფალს პარაკლისს უხდინდნენ, მონასტერში არ წყდებოდა ფსალმუნთა კითხვა, ვნების შვიდეული დაიწყო, ცოდვებს ინანიებდნენ – მონასტრის წინამძღვრები, წლების მანძილზე დაყუდებული მამები, მორჩილები.

ივერიის სავანეში, მიუვალ მთაზე განმარტოებით, მცირე სენაკში ცხოვრობდა ღირსი გაბრიელი, რომელიც ეროვნებით ქართველი იყო. გაბრიელმა ძილში ნათლით შემოსილი ღვთისმშობელი იხილა, თავისი სენაკიდან სიმაღლეზე, ხედავდა ზღვით მობრძანებულ ხატს. ღვთისმშობელმა აუწყა: წინამძღვარს და ძმებს – შემწედ და მფარველად ჩემს ხატს გადავცემ. ზღვაში შედი, ტალღებზე რწმენით გაიარე, ყველა შეიტყობს თქვენი სავანისადმი ჩემს სიყვარულსა და წყალობას.

ბერმა ხილვის შესახებ წინამძღვარს უამობო, მეორე დღეს ივერიის მონასტრის მამები გალობით, საკმეველის კმევით და ლიტანიობით ზღვასთან მივიდნენ, გაბრიელმა ღვთისმშობლისადმი ლოცვა აღავლინა, ტალღებში შევიდა, როგორც პეტრემ გალილეის ზღვაზე გაიარა, ათრთოლებულმა გაბრიელმა ხმელეთზე ღვთისმშობლის ხატი გამოაბრძანა. ბერებმა იქვე სამლოცველო ააშენეს, უფალს და ღვთისმშობელს მადლობა შესწირეს. იმ ადგილას, სადაც გაბრიელმა ხატი გამოაბრძანა საკვირველთმოქმედი წყარო ამოვიდა, დღემდე მოედინება, ქრისტიანები ხორციელი და სულიერი სნეულებებისგან იკურნებიან.

ივერიის ღვთისმშობლის ხატი ბერებმა მთავარი ტაძრის საკურთხეველში დააბრძანეს. მეორე დღეს, ცისკრის

ლოცვების დაწყებამდე, ეკლესიაში კანდელების ასანთებად შესულ ბერს ხატი ადგილზე არ დახვდა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ხატი მონასტრის კარიბჭესთან იპოვეს, საკურთხეველში დააბრუნეს, სასწაული რამდენჯერმე განმეორდა, ღვთისმშობელი ისევ გამოეცხადა გაბრიელს: კიდევ არ გამომცადონ, რადგან არ მსურს თქვენი მფარველობა, მსურს მე ვიყო თქვენი მცველი, არა მარტო ამ ცხოვრებაში, მომავალშიც, ვინც ამ მთაზე ღვთის შიშით იმოღვაწეებს, სასობედეს ჩემი ძის და მეუფის მოწყალებას, რამეთუ გამოვიტხოვე მისგან ეს ნიჭი, აჰა, იყოს სასწაულად, ვიდრე ამ სავანეთშია ჩემი ხატი, ჩემი ძის მადლი და წყალობა არ მოგაკლდებათ.

ბერებმა ღვთისმშობლის ხატის სადიდებლად, სავანის კარიბჭესთან პატარა ტაძარი ააშენეს, საკვირველთმოქმედი ხატი იქ დააბრძანეს. რომელსაც პორტაიტისი ანუ კარიბჭის ეწოდება, რადგან მუდმივ სამყოფელად ივერთა სავანე აირჩია. ხატს მწყალობელსაც უწოდებდნენ. არსებობს გადმოცემა, ვიდრე ხატი ივერიის სავანეშია, ათონის მთა მთელ ქვეყნიერებას მოჰყენს მადლმოსილებას, ათონზე ასეთი ტრადიცია იყო, კვირა დღეს კარიბჭესთან მიდიოდნენ მონასტრის წარმომადგენლები, ხატს თაყვანს სცემდნენ, როგორც წმინდა მთის ილუმინას და თავიანთ მონასტერში ბრუნდებოდნენ.

გადმოცემის თანახმად, ივერიის ღვთისმშობლის ხატი ლუკა მახარობელმა დაწერა. მისი სახე საოცრად მეტყველია, დღემდე აქვს სიხსიანი ჭრილობა.

ხატი ხალხში დიდი სიყვარულით სარგებლობს. დღესასწაულზე, ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს, ხატს ლიტანიობით ზღვის ნაპირთან მიაბრძანებენ, საღვთო ლიტურგიას ღვთისმშობლის ეკლესიაში აღასრულებენ, ხატის სიყვარულმა და თაყვანისცემამ საუკუნეებს გაუძლო, ივერიის ღვთისმშობელი არავის ტოვებს უნუგემოდ ყოველთვის დედობრივ მზრუნველობას იჩენს.

# ყოველი საქართველო

## სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები: მესხეთი და ჭანეთი



თამარ მეფე

1001 წელს, დავით კურაპალატის ვერაგული მკვლელობის შემდეგ, ბასილი კეისარმა იმიერ ტაო, ბასიანი და ზემო ქვეყნები იმპერიას შეუერთა. გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) ომი ბიზანტიელებთან ამ მიწების დასაბრუნებლად საქართველოს მეფის მარცხით დამთავრდა. მან არათუ ბასიანი და იმიერ ტაო დათმო, არამედ ხელი აიღო დავითის კუთვნილ თორმეტ თუ თოთხმეტ ციხეზე, კოლარტაანში, ჯავახეთსა და შავშეთში. დაპყრობილ ტერიტორიებზე შეიქმნა იბერიის თემი, რომელსაც შემდეგ სომხური მიწებიც (ანისი, კარი) შეუერთდა. იმავე საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, ბიზანტიელებმა განაახლეს ქართული მიწების ანექსია. მრავალმა ტაოელმა აზნაურმა, მათ შორის ბანელმა ეპისკოპოსმა, თავისი ციხეები მტერს გადასცა; შავშეთმა წარჩინებულებმა გარყობისა და წეფთის ციხეები გაყიდეს. დაახლოებით იმავე ხანებში ბიზანტიელებმა დაიპყრეს ხუფათის ციხე, რომელიც საქართველოს სასაზღვრო სიმაგრეს წარმოადგენდა შავი ზღვის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ჭოროხის აუზში საქართველო-ბიზანტიის სახელმწიფო საზღვარი იმიერ და ამიერ ტაოს ბუნებრივ საზღვარზე დაიდო, – იმ წყალგამყოფებზე, რომლებიც ოლთისის წყლის ქვემო წელისა და ბარდუსის ხეობებს დანარჩენი ჭოროხის აუზისგან გამოყოფს. ჭოროხის შუა წელიც პარხლისწყლითურთ იმპერიას ერგო. ტაოს ეკლესიებიდან ხახული, ოშკი, ოთხთა და პარხალი მაკედონელთა სამფლობელოებში აღმოჩნდა. იშხანი და ბანა – ბაგრატიონთა.

რომელი ციხეები ეპყრათ ბიზანტიელებს ქვეყნის სიღრმეში, ცნობილი არაა. მაგრამ ის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნების სუვერენიტეტი მხოლოდ ციხესა და მის მიმდგომ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა; უფრო ღრმად ქვეყნის გაკონტროლება მათ არ ხელენიფებოდათ. ასეთი ვითარება თვალნათლივ დასტურდება თანადროული დოკუმენტური წყაროებით. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მეღქისედეკის, დაწერილში (1031-1033 წწ.) მცხეთის სვეტიცხოვლისადმი შეწირულ მამულებს შორის დასახელებულია ტაოს ... სოფელი ზადკარეკი ხუთითა აგარათი და ძაღლის ხევს (პალაკაციოს დასავლეთი თემი – ავტ.) ... სოფელი ორთა სამითა აგარათი, მისი ნალუარევი; და ჯავახეთს ... სოფელი ტონთიო; და კოლას ... სოფელი დიდი ოროტანი აგარითა; და ფანაერას ... სოფელი ... მახარონი. 1054-1072 წლებით დათარიღებული სიგელის თანახმად, კლარჯეთის მონასტრების (ოპიზა, მიჯნადორი) სასამართლო დავის განხილვა საქართველოს მეფის პრეროგატივას წარმოადგენდა; მეფის ბრძანების აღსრულება ტაოისა და კლარჯეთის ტანუტერთა (მამასახლისთა – ავტ.) და ყოველთა ხელისუფალთა, მათ შორს, არტანუჯის ერისთავებს, ევალეზობდათ. მტბეგარი ეპისკოპოსი, შავში აზნაურების უმეტესობა, არტაან-ჯავახეთის ერიც და ბერიც მეფეს ერთგულებდნენ. ამრიგად იმიერ ტაოსა და ბასიანის გარდა, დანარჩენი მესხეთი საქართველოს საზღვრებში რჩებოდა.

XI ს-ის 40-იან წლებში ბაგრატ IV-მ ხუფათის ციხე აიღო (ბიზანტიის საპატიო ტყვეობიდან დაბრუნებულ ბაგრატს მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვის პირას, ხუფათს) ხოლო 70-იანი წლების დასაწყისში მისმა მემკვიდრემ, გიორგი II-მ, წაუხუნა ბერძენთა ... მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა და არტანისა, და შემდგომად ამისსა ... აღიღო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი, და იოტნა თურქნი მის ქუეყანისაგან (მატიანე ქართლისა, XI ს.).

საქართველოს მეფის წარმატებებს კეისრები აღარ ეწინააღმდეგებოდნენ. თურქ-სელჩუკებთან განცდილი გამა-

ნადგურებელი მარცხის (მანაზკერტის ბრძოლა, 1072წ.) შემდეგ ბიზანტიელებმა მცირეაზიული სამფლობელოები დათმეს. მათ იმედის თვალი საქართველოს მიაპყრეს და იქ ბუფერული ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა გადანიჭეს. ამ მისიის შესრულება ბიზანტიის საიმპერატორო კარმა დააკისრა იმპერიის სამსახურში მდგარ ქართველ დიდებულს, გრიგოლ ბაკურიანის ძეს, რომელსაჰქონდეს ოლთისნი და კარნუ ქალაქი და კარი; ის ბანაში შეხვდა გიორგი II-ს და მოსცა ... კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა (დავითის ისტორიკოსი, XII ს.). საქართველოს მეფემ იმიერ ტაო და მისი ნაწილი დაიბრუნა. ყოველ შემთხვევაში, დიდი თურქობისას (1080 წ.), ასისფორი, ისევე როგორც კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, და სხვა ქუეყანა საქართველო, საქართველოს სამეფოს შემადგენელი ნაწილი ყოფილა.


დიდმა თურქობამ წაღებულა როგორც აღმოსავლეთი საქართველო, ისე მესხეთიც. მესხეთის დაბრუნებაში ისევე და ისევე დავითის ფასდაუდებელი ღვაწლია. ის გეგმა-ზომიერად წმენდდა საქართველოს გადამთიელთაგან: ხან ხუფათიდან ჭოროხს აუყვებოდა და ტაოს ჩამომდგარ სელჩუკებს მუსრს გააჴლებდა, შემდეგ ბასიან-კარნიფორისკენ შეტრიალდებოდა, იქ დაანიოკებდა მომხვედურთ; ხანაც ჯავახეთიდან მტკვრის სათავეების აყოლებით კოლას გადავიდოდა, კარნიფორ-ბასიანით სპერამდე ჩავიდოდა და ყველგან მახვილს სცემდა ველურ ურდოებს. განმენდდა ბულთაყურს (პროვინცია იმიერ ტაოში, ოლთისწყლის ზემო წელზე) და ოლთისს და თრიალეთს გა-

მარჯვებით შემოიქცეოდა. სომეხი ისტორიკოსი ვარდანი ამბობს. – დავითმა გააფართოვა საქართველოს საზღვრები, შემოიერთა უხტიქი (ოლთისი – აგტი,) და მოსაზღვრე რაიონები ... ლაშა-გიორგის დროინდელი უცნობი მემატთანე კი აღნიშნავს, რომ ამათსა მეფობასა შინა აშენდა ჯავახეთი, ქვეყანა არტაანი (ე.ი. კოლა) არტაანი. ტაოს ნაპირნიცა და სხვა მხარეები.

თურქ-სელჩუკები უკან არ იხევდნენ, თითქმის XII საუკუნე ისინი განუწყვეტილ დათარეშობდნენ ტაო-შავშეთ-კლარჯეთში, არტაანში, პალაკაციოში. წარმატებასაც აღწევდნენ. საქართველოს სახელმწიფოს დიდი მარცხი ის იყო, რომ ოლთისის მთელი ხეობა, ოლთისის ციხე-ქალაქითურთ და ბანაც დროებით კეროლირ სელჩუკიანმა ამირებმა იგდეს ხელთ (XII ს-ის 70-80-იანი წლები). სელჩუკთა თარეშს ბოლო თამარის მეფობისას მოელო. ბასიანის ბრძოლის (1205 წ.) შემდეგ კი ბასიანი აბნიკითურთ ისევე ქართული სახელმწიფოს საზღვრებში შევიდა.

ამრიგად თამარის მეფობისას დასრულდა მესხეთის მიწების დაბრუნების ორასწლოვანი ბრძოლები. არაქსის ზემო წელი, მტკვრის ზემო წელი, ჩილდირის ტბის ქვაბური, ჭოროხის აუზის დიდი ნაწილი ქართული მონარქიის ორბიტაში დაბრუნდა, რაც შეეხება ჭოროხის ზემო წელზე განლაგებულ სპერსა და ბაიბურთს, ისინი არზრუმის ამირას სამფლობელოებში შედიოდა.

ვითარება შეიცვალა ხვარაზმელთა შემოსევების შემდეგ. 1230 წელს რუმისა და ეგვიპტის სასულთნოების





გაერთიანებულმა ლაშქარმა დაამარცხა ჯალალედინი. გამარჯვებულებმა მახვილი საქართველოს წინააღმდეგ მიმართეს და მისი სამხრეთ-დასავლეთი მიწები დაიპყრეს. არაბი ავტორების, მუჰამად ალ-ჰამადის (XIII ს. I ნახ.), იბნ ბიბის (XIII ს. II ნახ.) და კუტბ ად-დინ ალ-იუნინის, (გარდ. 1326 წ.) მიხედვით რუმის სულთანმა ქაი-ყუბადმა ნიხახისა და ხახულის ციხეები აიღო, ხოლო ალ-ამრაფმა – ოლთისის, მამრივანისა (იგივე ბულათაყურის) და ბარქრისა (რადგან მოქმედება ტაოში ვითარდება, შეიძლება ამოვიკითხოთ ბარდუსი პარხალი).

როგორც ვხედავთ, მაჰმადიან მეზობლებს ხელთ უგდიათ ის მაგისტრალები, რომლებიც საქართველოს მცირე აზიასთან აკავშირებდა. რამდენ ხანს გაგრძელდა მაჰმადიანთა მფლობელობა ტაოში, ზუსტად არ ვიცით. კუტბ ად-დინ ალ-იუნინის ცნობით, ქართველების ოლთისის ხეობის ციხეები ალ-ამრაფისთვისვე წაურთმევიათ. ფამთაღმწერლის მიხედვით კი, XIII ს-ის 40-იან წლებში სამცხის სპასალარებმა, ჯაყელებმა, გაათავისუფლეს ოლთისი და ბულათაყური ყოველი, რომელნიც სელჩუკებს აქუნდა და აოხრებდეს ტაოსა. იმავე ისტორიკოსის ცნობით, XIII ს-ის II ნახ. თორთომის ციხე ფანასკერტის საერისთავოში შედიოდა. მოგვიანებით, თორთომში საბაჟოც მოქმედებდა. ქართული მატანის ცნობებს ადასტურებს სომხური წყაროები: XIII ს-ის II ნახ. მწერალი კირაკოს განძაკეცი ჯაყელებს ოლთისის მბრძანებლებს უწოდებს, ხოლო XIV ს-ის დასაწყისის ერთი სომეხი გადამწერი სოფ. შიბაკს თაყას ქვეყანაში ანუ თორთომის საერისთავოში

ასახელებს. ეს სოფელი ეფვრატ-თორთომის წყალგამყოფ ქედზე მდებარეობდა. ამ მთებს ფრანგი მისიონერი და ელჩი რუბრუკისი (1215-1295 წწ.) ქურჯის, ანუ საქართველოს მთებად მოიხსენიებს. ეფვრატის სათავეებიც, ანუ გურჯი-ბოლაზი საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა. პოლიტიკური გეოგრაფია არც თემურ-ლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა შეცვალა.

XIV საუკუნის 30-იანი წლებისათვის საქართველოს საზღვრებში სპერიც შემოდის. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, იქ ერისთავები დაუსვამს გიორგი ბრწყინვალეს. ცნობები სპერის შესახებ მწირია. ვიცით, რომ XIV ს-ის დამდეგს ამ მხარეში იმოგზაურა ესპანეთის ელჩმა რუის გონსალეს დე კლავისომ. დიპლომატის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ სპერს მუსლიმი მთავარი განაგებდა, რომელიც საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა; მისი ქვეყანაც საქართველოს საზღვრებში ითვლებოდა. ამ მხარის სტატუსი არც მომდევნო ასი წლის განმავლობაში შეცვლილა.


ზღვისპირეთში სამხრეთ-დასავლეთ მიჯნას, როგორც ვნახეთ, ხუფათის ციხე სდარაჯობდა. ხანდახან სასაზღვრო არეალში კონდომინიუმი – ორი მეზობელი სახელმწიფოს მმართველობა – იქმნებოდა. ქართულმა საბუთებმა შემოგვინახა ცნობა ერთ-ერთ ასეთ მხარეზე, მურღულის ხეობაზე, სადაც ვინმე ფან ჩიასძე ფლობდა სოფელ დურჩს თუთ დავით მეფეთ-მეფისაგან ე.ი. დავით ნარინისგან, 1247-1293 წწ. – ავტ.) და ბერძენთა მეფისა გიორგისაგან (ტრაპიზონის იმპერატორი გიორგი I, 1266-1280 წწ. – ავტ.) დამტკიცებულს.

XIII ს-ის მიწურულსა და XIV ს-ის დასაწყისში ტრაპიზონის იმპერატორმა ალექსი II-მ თავის სიმამრს, ბექა ჯაყელს ჭანეთი გადასცა, მაგრამ იმავე საუკუნის II ნახევარში ჭანეთზე კვლავ ბერძენთა იურისდიქცია ვრცელდებოდა. ტრაპიზონის კეისართა კარზე დაახლოებული ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი გვარწმუნებს, რომ საზღვარი ამის შემდეგ მაკრიალზე, ხუფათის ჩრდილო-დასავლეთით, დაიდო. მოგვიანებით, XV-ის 60-იანი წლების დასაწყისისათვის, ჯაყელები ფლობდნენ ჭანეთს, რომელიც მათ განუული დახმარების სანაცვლოდ, აჭარასთან ერთად გურიელებს დაუთმეს. კლავისოს ცნობების მიხედვით, ჭანეთის დამორჩილებას ქართველი ხელისუფალნი XIV ს-ის ბოლოდან თუ XV ს-ის დასაწყისიდან ცდილობენ. მისი მოგზაურობის დღიურიდან ვიგებთ, – არაქელას, ანუ ჰემშინების, ქვეყნის მოსახლეობამ ზურგი აქცია თავის ბატონს – ტრაპიზონის კეისარს და მორჩილება ისპირის მთავარს გამოუცხადა. ეს მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რათა საქართველოს მეფე-მთავრებს აღმოსავლეთ ჭანეთის შემოერთებაზე ეზრუნათ. XV ს-ის 70-იანი წლებისათვის შავი ზღვის სანაპიროს ათენამდე უკვე ოსმალები აკონტროლებდნენ, ქვეყნის სიღრმეში მდებარე ხეობები კი უზუნ-ჰასანის უზუნეასობას ცნობდა. 1489 წლისთვის ოსმალებმა ჰამამშენიც დაიპყრეს და ადგილობრივი მთავარი სპერში განდევნეს, ოსმალთა აგრესიამ სულ მალე საქართველოსაც უწია.

**ზაზა აბაშიძე**

**გაგრძელება მომდევნო ნომერში**

# ...შურსა და ცილზე აპაღლეგული...



ვამაყო, რომ ასეთ ადამიანთან ვმეგობრობდი ლევან გოთუასთან ვორკუტლავის პერიოდი მაკავშირებს, – მიაბო ბატონი ლევანის თანაბანაკელმა სოლომონ გერშოვმა. მუდამ მაღლიერი ვიქნები ლევან გოთუასი, რადგან სწორედ მან გამაცნო ფუნდამენტური შრომები ქართული ხელოვნების ისტორიის შესახებ; მანვე პირველად მაზიარა ქართულ პროზასა და პოეზიას. ამ წიგნებს მას რეგულარულად უგზავნიდნენ ოჯახიდან. ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით მუსიკაზეც, რომელშიც ცოტაოდენი გამოცდილება მქონდა. მის პიროვნებაში განსაკუთრებით ვაფასებდი კაცთმოყვარეობას, მიუკერძოებლობას, სიმართლისადმი ერთგულებას და უტყუარ სულს. მისთვის უცხო იყო ადამიანების გამორჩევა ეროვნული ნიშნით. იგი დიდი ინტერნაციონალისტი გახლდათ. საუბრისას საოცარი მოსმენა იცოდა: თვალეში გიყურებდათ, სიტყვას არასოდეს გაგანყვეტინებდათ. თვითონ ფაქიზი სულის ადამიანი, ისეთი ტაქტით გამოთქვამდა შენიშვნას, რომ შეუძლებელი იყო, ანგარიში არ გაგენიათ. მისი შენიშვნები და მოსაზრებები ყოველთვის მეხმარებოდა მუშაობაში. ჩემთვის ის ყოველთვის იყო და დარჩება კაცობის სიმბოლოდ. ვამაყო, რომ ასეთ ადამიანთან ვმეგობრობდი.

სოლომონ გერშოვი  
სანკტ-პეტერბურგი

მოგვიანებით, სოლომონ გერშოვმა ლევან გოთუას პატივისცემის ნიშნად, თავისი ოთხი ნამუშევარი გამოუგზავნა. ამასთან დაკავშირებით, მწერალი სოლომონ გერშოვს წერდა: ...თქვენმა ნამუშევრებმა ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. იგრძნობა დიდი შინაგანი ექსპრესია და ემოციურობა, რომელიც ესკიზურადაა გადანყვეტილი. ახლებური, ინტუიციური მიდგომა და ადამიანების, საგნებისა და მოვლენების სანახევროდ დანახული კონტურები, ადამიანს შემოქმედებითი აზროვნებისათვის განაწყობს. სრულიად მოულოდნელად ასოციაციები და ემოციები იზადებიან, ეს უდავოდ, დიდი მხატვრის ფუნჯია. ჰუმანისტური ფუნჯი, რომელშიც მსოფლშეგრძნება და შინაგანი ქვრეტა სჭარბობს. მხოლოდ მსუბუქი, თვალის ერთი გადავლებით, მივეახლე თქვენულ, ძიებისა და აღმოჩენების მდიდარ სამყაროს. თქვენი თავისებურება ყოველთვის როდია გასაგები, მაგრამ მუდამ გულში ჩამწვდომი და ღრმა აზროვანია. ხოლო ჩვენი დროის პრობლემების დიდი ტალღა, ქმნის იმ ატმოსფეროს, რომელიც ზრდის ინტერესს თქვენი შემოქმედებისადმი.

ესკიზურობა და ზოგჯერ მასალის დეფორმაცია, მხოლოდ ხაზს უსვამს ამ მდგომარეობას.

მოხარული ვარ! ყველას როდი ძალუძს წარმატების მოხვეჭა. ზოგჯერ ტალანტებსაც კი! მოუთმენლად ველი თქვენს ქართულ ტალღას.

მხატვარმა პირნათლად შეასრულა ლევან გოთუას ეს თავისებური დამოძღვრა – მის შემოქმედებაში ქართულ მოტივებს მართლაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ასეთია ტილოები – თბილისის დამაარსებელი, ქართული ქორწილი, ძველი თბილისის ქუჩა, ქალი თხებით, მწყემსი, გაზაფხული, – (ედღვნება ლადო გუდიაშვილს).

სიცოცხლის ბოლო წლებში მხატვარი ძალიან გაიტაცა ფიროსმანის შემოქმედებამ, რომლებსაც ნამუშევრების მთელი ციკლი უძღვნა...

სოლომონ გერშოვი გატაცებით მუშაობდა საქართველოს თემაზე. მხატვარმა სპეციალურად საქართველოში გამოსაფენად შექმნა ნამუშევრების სერია – სვეტიცხოველი, დავით გარეჯი, საქართველო, მოქანდაკის სახელოსნო (ედღვნება მერაბ ბერძენიშვილს), გია ყანჩელის მეოთხე სიმფონიის თემაზე (ედღვნება კომპოზიტორს) და სხვა.

სოლომონ გერშოვს ლადო გუდიაშვილმა თანამედროვეობის უდიდესი მხატვარი უწოდა. ხოლო მარკ შაგალი 1973 წელს წერდა: ძვირფასო გერშოვ, თქვენს ნამუშევრებში გულწრფელად ეძებთ სიმართლეს ხელოვნებაში და ესაა მთავარი და მნიშვნელოვანი.

სოლომონ გერშოვის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა ხუთჯერ მოეწყო სანკტ-პეტერბურგში; ორჯერ მოსკოვში; 1966 წელს ლონდონში; 1972 წელს ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, კლივლენდსა და ლოს-ანჯელესში;



1976, 1979 და 1987 წელს თბილისში; 1985 წელს ქუთაისში; 1989 წელს მირზაანში; 1991 წელს – პარიზში.

სოლომონ გერშოვი 1979 წელს გარდაიცვალა.

ასე რომ, თანამედროვეობის უდიდესი მხატვრის სოლომონ გერშოვის შემოქმედებაში ქართულ მოტივს რომ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა – ეს, როგორც მისი მოგონებებიდანაც ჩანს, ბატონი ლევანის დამსახურებაა, მისი პიროვნული ხიბლის მაღლი გახლდათ.

### ფრაგმენტები მწერლის ცხოვრებიდან

გამოჩენილ ქართველ მწერალს ლევან გოთუას წლეულს დაბადებიდან 90 წელი უსრულდება. იგი სრულიად გამორჩეული ხელწერის შემოქმედია. მისი რომანები *გმირთა ვარამი*, *მითრიდატე*, *ნოველები* კრებულები *უგზო ქარავანი*, *კრწანისის სევდა* და სხვები დღესაც მკითხველთა შეუწელებელი ინტერესით სარგებლობს.

ლევან გოთუა ამავე დროს ცნობილი მთამსვლელი და მოგზაური გახლდათ, ქვეითად მოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო და მისი მთიანეთი. სწორედ მისი მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებები აირჩია შესწავლის თემად ჟურნალისტმა და სპელეოლოგმა, ბატონი ლევანის ახლო მეგობარმა, ჯუმბერ ჯიშკარიანმა. მან საიუბილეოდ მოამზადა წიგნი *ლევან გოთუა, ფრაგმენტები მწერლის პორტრეტისთვის*.

მომავალი წიგნის განხილვას მიეძღვნა გაზეთ წყალტუბოს რედაქციასთან არსებული ლიტერატურული გაერთიანების მორიგი სხდომა. აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ უშანგი ჯიქია, იუზა დადუნაშვილი, ეგენია ამალაბელი, ავთანდილ კუპრეიშვილი, ნორა სულუხია, ომარ ნაჭყებია, მანანა ვარდანიძე, მურთაზ კანკაძე და სხვები.

ლიტერატურული გაერთიანების წევრებმა მოიწონეს ჯუმბერ ჯიშკარიანის ნაწარმოებები და დააყენეს საკითხი წიგნის დროულად გამოცემის შესახებ, რომელიც კარგი საჩუქარი იქნება მწერლის საიუბილეოდ.

ავტორმა მადლობა გადაიხადა ყურადღებისათვის და აქვე გამოთქვა წინადადება, ლიტერატურულ გაერთიანებასთან შემოწირული წიგნების გზით, შეიქმნას მცირე ბიბლიოთეკა.

*მირიან ლოლაძე*  
*წყალტუბო, კვირა, 1 იანვარი, 1995.*

*27 ნოემბერი, 1997.*

*ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანს*

### მკირფასო ბატონო ჯუმბერ

ულრმესი მადლობა თქვენი გულთბილი წერილის, წიგნებისა და გაზეთებისათვის! ქართული გაზეთები ისე იშვიათად მივარდება ხელში, რომ ამაზე სანატრელი ჩემთვის არაფერია, მიუხედავად მათში ამოკითხული ბევრი სავალალო და გულისმომკვლელი ინფორმაციისა.

დიდი ინტერესით დავინყე მათი კითხვა. ვფიქრობ, მთელი ორი კვირა მაინც ამ ჩემთვის უსაყვარლესი ასოებით, დაფარულ ფურცლებში ვიქნები ჩაფლული.

ვსარგებლობ შემთხვევით, მადლობა გადაგიხადოთ ლევან გოთუასადმი მიძღვნილი თქვენი ბრწყინვალე გაზეთისთვისაც. იმედია, ჩემმა დეიდაშვილმა, ნუნუ უროტაძემ ადრეც გადმოგცათ, თუ რაოდენ ალტაცებული დავრჩი თქვენი ჟურნალისტურ-რედაქტორული გემოვნებითა და ტაქტიკით.

გისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს, ჯანმრთელობასა და წარმატებას.

*დოდონა კიზირია*  
*აშშ, ბლუმინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი*  
*ბლუმინგტონი, აშშ.*

### ყოველთვის გადნიარი ვარ

და იცი რატომ?..

იმიტომ რომ არავისგან არაფერს ველოდები.

მოლოდინი ყოველთვის მტკივნეულია,

ცხოვრება ხანმოკლეა,

ასე რომ, გიყვარდეს შენი ცხოვრება

და გააგრძელე ღიმილი.

იცხოვრე წყნარად,



სანამ ისაუბრებ, მოუსმინე,  
სანამ დანერ, დაფიქრდი,  
სანამ დახარჯავ, იმუშავე,  
სანამ ლოცულობ, აპატიე,  
სანამ დაზარალდები, იფიქრე,  
სიძულვილს, სიყვარული ამჯობინე,  
სანამ დანებდებით, სცადეთ,  
სანამ მოკვდები, იცოცხლე.

*უილიამ შექსპირი*

# დიდი ევროპელი ს საქართველოში

## ნობელის პრემიის ლაურეატი ნილს ბორი

ნობელის პრემიის ლაურეატი, დანიელი ფიზიკოსი ნილს ბორი (1885-1962 წწ.). ატომის კვანტური მექანიკის, ატომური ბირთვის, ბირთვული რეაქციებისა და ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთქმედების თეორიის დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა ნილს ბორმა. მეცნიერმა ბევრი ჯილდო მიიღო...

1908 წელს – დანიის სამეცნიერო საზოგადოების ჰიუზის ოქროს მედალი; 1922 წელს – ნობელის პრემია; 1924 წელს – ერსტედის მედალი; ნორვეგიის მეცნიერებათა აკადემიის მეტუჩის ოქროს მედალი; 1926 წელს – ბალტიმორის (აშშ) ფრანკლინის სახელობის ოქროს მედალი; 1930 წელს – ოქროს ორი მედალი; დანიაში ფრედერიკსბორგის სასახლეში ერთი დარბაზი დაეთმო სპილოს ორდენს. ეს ორდენი უმაღლეს ჯილდოდ ითვლება, მხოლოდ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს გადაეცემა.

ნილს ბორი იყო დანიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, აშშ-ის, გერმანიის, იტალიის, შვეციის, ნორვეგიის, ინდოეთის და სხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, 36 ქვეყნის საპატიო დოქტორი.

სათანადოდ დააფასა მსოფლიომ ჩვენი დროის დიდი ფიზიკოსი...

1962 წლის 12 მაისს ნილს ბორი საქართველოს ეწვია... თბილისის აეროპორტში თვითმფრინავის ტრაპთან ცნობილი ქართველი ფიზიკოსები ტაშით შეეგებნენ. აკადემიკოსმა ელფეთერ ანდრონიკაშვილმა ნილს ბორი და მისი ოჯახის წევრები გააცნო თვითმფრინავთან თავმოყრილ ქართველ ფიზიკოსებს.

თბილისში ჩამოვიდნენ ნილს და მარგარეტ ბორი, ვაჟიშვილი პროფესორი ოგე ბორი და მისი მეუღლე მარიეტა. ოგე ბორი იყო კოპენჰაგენის თეორიული ფიზიკის



ანდრე კარბელაშვილი

ინსტიტუტის დირექტორი.

მეორე დღეს, 13 მაისს შეხვედრა მოენყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის აუდიტორიაში, კედელზე ნილს ბორის სურათი იყო განთავსებული. მეცნიერის გამოჩენას, შეხვედრის მონაწილენი ხანგრძლივი და მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ელფეთერ ანდრონიკაშვილმა, ფიზიკოსის შრომებზე ისაუბრა აკადემიკოსმა ვაგან მამასახლისოვმა.

აი, რა თქვა ნილს ბორმა: მსოფლიო იცნობს კავკასიის სილამაზეს, იციან, ქართველებს უყვართ პოეზია, ახლა დავრწმუნდით, როგორი განვითარებულია მეცნიერება.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ფიზიკა უძველესია იგი სწრაფად ვითარდება და ახალ დარგებს ქმნის.


– მოხაული ვარ, რომ საქართველოში ჩამოვედი, ვგრძნობ თქვენს სითბოს და ყურადღებას. საქართველო რომანტიკული ქვეყანაა, მდიდარი და დიდი ისტორია აქვს, ახლა დავრწმუნდით, მეცნიერების ქვეყანაცაა. ჩვენს ვსწავლობთ ბუნებას და მის ნაწილაკს წარმოვადგენთ. ვმუშაობთ, ამ მეცნიერებას რამე შევმატოთ. ფიზიკაში შესამჩნევია ყველა ქვეყნის მეცნიერთა შემოქმედებითი თანამშრომლობა, ასეთი მუშაობა ეხმარება ყველას, ვინც ქვამარიტებისკენ ისწრაფვის, ხელს უწყობს ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებას.

საინტერესო მოხსენებით გამოვიდა ნილს ბორის შვილი, პროფესორი ოგე ბორი. შემდეგ დაათვალიერეს უნივერსიტეტის ფიზიკის ლაბორატორიები, ხანგრძლივი შეხვედრა ჰქონდა თსუ-ს რექტორთან ევგენი ხარაძესთან.

ქართველი ჟურნალისტის თხოვნით, ნილს ბორმა მის უბის წიგნაკში ასეთი სიტყვები ჩაწერა: ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ვიმყოფები, ვათვალიერებ თქვენს



ნილს ბორი საქართველოში



ნილს ბორი საქართველოში

შესანიშნავ ქვეყანას, ვესწრები ღონისძიებებს, მთელი გულით ვუსურვებ ქართველ ხალხს ბედნიერ მომავალს... თბილისის უნივერსიტეტის რექტორთან შეხვედრას ესწრებოდნენ მისი ოჯახის წევრები, ასევე, ვ. მამასახლისოვი, ვ. პარკაძე, გ. ხუციშვილი, ვ. ჭავჭავანიძე, გ. ჭანუყვაძე.

ქართველმა ფიზიკოსებმა დანიელი სტუმრები თბილისის ოპერის თეატრში ოტელოზე მიიწვიეს. სტუმრები ალაფრთოვანა ვახტანგ ჭაბუკიანმა.

ნილს ბორმა აღნიშნა, – ამ პატარა ქვეყანაში დაიდგა ბალეტი შექსპირის ნაწარმოების მიხედვით, საოცარია, ოტელოს როლის შემსრულებლის ცეკვა. ეს ქვეყანა გამორჩეულია ყველა იმ ქვეყნებს შორი, სადაც კი მიმოგზაურია.

ქართველმა კოლეგებმა გაიხსენეს ნილს ბორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდები.

1940 წელს ჰიტლერელთა ჯარი დანიაში შეიჭრა. ინგლისის მთავრობის მაღალ ემელონებში ნილს ბორის ინგლისში საიდუმლოდ წასვლა გადაწყდა. დაზვერვამ ის ჯერ შვედეთში ჩაიყვანა, შემდეგ სტოკჰოლმის აეროდრომზე. იქ დაზუსტდა, ინგლისში გაფრენა მხოლოდ სამხედრო თვითმფრინავს მოსკიტოს შეეძლო – მაღლა აფრინდებოდა და თავს აარიდებდა მტრის საზენიტო ქვემეხებს, მაგრამ იქ მგზავრისთვის ადგილი არ იყო, მოიფიქრეს მეცნიერი ყუმბარების ჩასაწყობად ადგილას მოეთავსებინათ.

თვითმფრინავის აფრენის წინ დაზვერვის თანამშრომლებმა პილოტი ცალკე გაიხმეს და უთხრეს:

– თუ ჰიტლერელთა ავიაცამანადგურებელი გაიძულე მათ მიერ მითითებულ ადგილზე დაეშვა, წინასწარ საყუმბარე ლილაკს დააჭირე თითი.

– მგზავრი ხომ დაიღუპება!.. – აღშფოთდა პილოტი.

– შეასრულეთ, რასაც გიბრძანებთ. ნილს ბორი ჰიტლერელებმა ცოცხალი რომ ჩაიგდონ, ატომური იარაღის დამზადებას აიძულებენ!..

თვითმფრინავი ინგლისის სამხედრო აეროდრომზე მშვიდობიანად დაეშვა, მაღალ სიმაღლეზე ფრენის გამო ბორი გულწასული იპოვეს.

ნილს ბორი ორჯერ მიიღო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა – მან კარგად იცოდა ატომური ბომბის დამზადება. ინგლისიდან ნილს ბორი აშშ-ში ჩავიდა ახლადგახსნილი ატომური ფიზიკის ლაბორატორიაში. მას იქ სახელი შეუცვალეს და მისტერ ნიკლას ბეიკერი უწოდეს. ის ფრანკლინ რუზველტმა მიიღო.

ამერიკაში ნიკლას ბეიკერს სულ დაჰყვებოდა აშშ-ის სამხედრო დაზვერვის ორი ოფიცერი, რაც მეცნიერს სულს უზნუთავდა, რამდენჯერმე დაუსხლტა მცველებს და ხალხს შეერიო. ერთ-ერთი მანევრის შემდეგ, ბორი მაღაზიაში შევიდა და კოსტიუმი იყიდა, სახლში დაბრუნებულმა მიხვდა, საათი მაღაზიაში დარჩა. ვაჟი მოსატანად გაგზავნა, მაღაზიაში უთქვამთ, მამაშენი ნიკლას ბეიკერია, რატომ აქვს უკანა მხარეს ამოკვეთილი ნ. ორი. ოგე ბორი იძულებული გახდა, მაღაზიის მფლობელისთვის აეხსნა, მამა-შვილმა ამერიკაში ყოფნის დროს გვარი შეიცვალეს, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო; დაიმახსოვრეთ, აშშ-ში ფიქტიური გვარის ტარება აკრძალულია.

თუმცა, ისევ ნილს ბორზე თბილისში.

14 მაისს ქართველმა ფიზიკოსებმა სტუმრები შუამთაში წაიყვანეს, დიდი ბანკეტი გამართეს. შუამთაში, შუაგულ ტყეში ევროპულ ყაიდაზე გაშლილ სუფრაზე, სტუმრებს მოეწონათ ქართული სიმღერა – ყუყუნა წვიმა მოვიდა...

ნილს ბორმა სუფრაზე სადღეგრძელო წარმოთქვა: თქვენი შესანიშნავი სიმღერები გვეუბნება, რომ თქვენ ეკუთვნით იმ ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან ადამიანის ხელით შექმნილი ურჩხულების წინააღმდეგ.

მეორე დღეს ნილს ბორმა ცოლ-შვილთან ერთად, დაათვალიერა სვეტიცხოვლის ტაძარი და ჯვრის მონასტერი.

პროფესორი ვახტანგ პარკაძე იხსენებს თავის წიგნში ნილს ბორი 15 მაისის დღეს:

თბილისის აეროპორტში ტევა არ იყო... საუბარი, სურათების გადაღება, ავტოგრაფების გაცემა და სხვა. ბოლო წუთებში ბორმა დინჯად განაცხადა, – თქვენთან ჩამოსვლა ალბათ აღარ მიწერია, როცა ჩემი შვილი ოგე მოსკოვში მეორედ მოხვდება, პირველი საქართველოში წამოვა.

ამასობაში ბორების (მოსკოვის) თვითმფრინავიც დაეშვა. მგზავრები ავიდნენ, ნილს ბორმა ხელები ასწია, ყველა გაირინდა, ორივემ ომანიანად დაიწყო სიმღერა – ყუყუნა წვიმა მოვიდა. ხალხიც აჰყვა, ბორი ხელის მოძრაობით ლოტბარობდა.

ასე დაემშვიდობა ჩვენი დროის დიდი ფიზიკოსი ნილს ბორი საქართველოს.

ასე დაემშვიდობა საქართველო მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერს და დიდ ადამიანს.

ანდრე კარბელაშვილი

# დავით აღმაშენებელი

დიდი პატივი მხვდა წილად, ვიყო მონაწილე დღევანდელი ზეიმისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის სახელით, წარმოვთქვა სიტყვა – სამადლობელი ესოდენ დიდი ზეიმის, დიდგორობის დაარსებისათვის. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ დიდგორობა მთელი ქართველი ახალგაზრდობის უსაყვარლეს ზეიმად იქცევა, რამეთუ ეს არის ზეიმი ქართველი ერის ძლევა-მოსილებისა, ქართული სულის უკვადავების, მტერზედ გამარჯვების, რწმენის, იმედის, თავგანწირვის და ყოველივე ამაღლებულის, რასაც საფუძვლად სამშობლოს სიყვარული უდევს. სამშობლოს სიყვარული კი, უმთავრესი გრძნობა იყო და იქნება ქართველი კაცისთვის, და ფუჭია ყოველი წამოწყება, ყოველი ჩანაფიქრი და საქმე, რაც ამ გრძობით არ არის ნაკარნახევი და განპირობებული.

ვფიქრობ, ჩვენთან ერთად ამ აზრს იზიარებს ყველა ახალგაზრდა შემოქმედი – პოეტი, მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი, არქიტექტორი; ამიტომაა, რომ დღევანდელი ახალგაზრდების შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით, მშობლიური ისტორიის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით გამოწვეულ პატრიოტულ მოტივებს. საქართველოს ისტორია შთაგონების უშრეტეი წყაროა, საქართველოს ისტორია სწორედ ის წიგნია, რომელსაც ყოველი ნაკითხვისას თავიდან აღმოაჩენ და აღფრთოვანდები. ისტორია აღსავსე ბრძოლებით – დამარცხებებითა და გამაჯვებებით; ისტორია, რომელსაც ჰქმნიდა ერი, ერთეულთა გმირობითა და თავდადებით ფრთაშესხმული.

ეს არის წიგნი, სადაც მრავალი რამ ჯერაც ამოუცნობია და ნაუკითხავი.



ეს არის წიგნი, რომელშიც ჩვენმა თაობამ და მომდევნო თაობებმა თავიანთი სათქმელი უნდა ჩანერონ.

დღეს ჩვენ ვზეიმობთ გამარჯვებას და რომ ვარსებობთ და ვზეიმობთ, ეს თავად არის დიდი გამარჯვება ქართველი ერისა.

ჩვენ აქ შევიყარეთ დიდგორის ველზე, რათა პირველ რიგში თავყვანი ვცეთ მიწას, სადაც დიდგორის ბრძოლაში დაღუპული ჩვენი გმირი წინაპრები განისვენებენ, აქ დღეს ჩაყრილ საფუძველზე, სწორედ მათი სახელის მარადსაყოფად, აღიმართება ობელისკი; იგი დღევანდელ ახალგაზრდებს და მომდევნო თაობებს მოაგონებს და დააფიქრებს, თუ რაოდენ დიდი ვალი აწევთ – ვალი ქართველობისა!..

დღეს ჩვენ ვზეიმობთ გამარჯვებას!.. და ვით არ მოვისხენოთ წინამძღოლი ამ დიდებული გამარჯვებისა; საჩინო, ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის; ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის; ნათლისფერ, ვითარცა ელვა ღრუბელთა შორის; ტკბილ, ვითარცა არე ყამთა შორის... მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკუეთელთა შორის; სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის, ახოვან, ვითარცა ისო წინამბრძოლთა



შორის... ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის...  
– ვიშველიებ ხოტბას არსენ მონოზენისას, რათა უკეთ დავასურათო ხატი მეფისა დავით აღმაშენებლის.

იგი ჭეშმარიტად იყო დიდი მეფე, დიდი მხედართმთავარი, დიდი პოეტი, დიდი ორატორი. განა მისი სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ დიდგორის ომის წინ, არ იქნა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქართველთა გამარჯვებისა?!

სიტყვა, რომელიც შესულია არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში.

სიტყვა, რომელიც ნიმუშია იმისა, თუ რაოდენ დიდ ძალა აქვს ქართულ ენას.

სიტყვა, რომელიც წარმოთქმული იყო აქ, ამ ასპარეზზე, დიდგორის ველზე.

სწორედ ამიტომ, მე მინდა კადნიერებისათვის და წარმოთქმული სიტყვისათვის ბოდიში მოვიხადო თქვენს წინაშე და ამ მიწის წინაშე; მაგრამ, ვიდრე დავასრულებდე სათქმელს, გაგებდავ და წაგიკითხავთ ნაწყვეტს პოემიდან, რომელიც დავით აღმაშენებლის ეპოქისა და მის დიდ გამარჯვებათა ხოტბას წარმოადგენს:



დღენი ქარვანი კრიალოსნისა ან ქარავანი ბრძოლის ქართ ველთა გახდენ არ ექნათ ძრწოლა შიშისგან ბრძოლასა შიგან თავის გამრთველთა არ თუ ვალთა გარდუვალთა შენარჩუნება ქართლის ქართველთა ოდენ შემდგომად შემოდგომათა ღვინდება ღვინო ვაზთა ნართველთა.

და ან იხილეთ გონით იხილეთ მეფეთა მეფის ქება და ქება და ვით ერგება სწორად ერგება არ მიჭირს სიტყვის შებადაგება სახელთ მალალთა ხალთა ახალთა მართლად შეჭვერის ფერხქვეშ დაგება რომლის კარავსა სხივთა მპარავსა მზისგან ვერ ფარავს შეფადაგება.

თავდაპირველის ყოჩაღობითა ყაჩაღ ყვიჩაღთა კარი განულო ჩამოსხა ქართლსა ოჯახობითა და წყალობანი დიდნი განულო მისცა მთა-ბარი არ თანაბარი მომთაბარეთა სწორად განუყო ცოლად შეირთო ასული მეფის მით მითუმეტეს გული განულო.

ხედნა თავხედნი თავადნი დიდნი ერის თავს მსხდომნი ჟამად ჟამითა მოჰკლა ლიბარტი დაუდგარი კლდეკარი რიდას იპყრა ამითა იყვნენ ესენი არ მოწესენი სჭირდათ ეს სენი ვითა მამითა და იქცეოდნენ მათებრ სხვანიცა თუ იქცეოდნენ სითამამითა.

უფლის ხელისგან ხელისუფალმან ჰყო ეკლესია თვის ხელ საწვდომად მორწმუნე ყველა დაქცეულიყო და ქცეულიყო დავით ან თომად დრო მოიწია და მოიწვია მეფემან კრება არ შესაცდომად განკვეთეს ბერნი ბევრნი ურად და ჰყვეს ჭყონდიდელი არ წასაწყდომად.

მან სამებისა სამართალითა მოსილმან თვისებრ სამეფო მოსა ნდომა-ქადლით წვდომის წადილით ენამებოდა წამს საამოსა ცოდვას ერიდა თავს არ იდო და არა ვიდოდა გზასა ამოსა და ოდენ მტერსა ხამს და უხამსსა მით უთენებდა დღეს უღამოსა.


შიშს არ ჩვეული რჩეულთ მრჩეველი არ ირჩობოდა ანუ რჩებოდა ყელს ხატი ება და პატიებას მისგან ითხოვდა და მით რჩებოდა და თუ კი ვინმე ეურჩებოდა სიკეთეს მისგან ვერა რჩებოდა ებრძოდა სიკვდილს პირისპირ ველად და პირველობა თვის წილ რჩებოდა.

დიდგორს შეიმკო შარავანდედით განვლო შარვანი შემდგომ რანისა ვინ უწყის რანი ვინ საგანძურნი აღილო განძას და ან ანისსა ჭოროხის პირით ვიდრე სპერამდის ამოვლო კერძი ბასიანისა თავად მზიანმან თავაზიანმან მტერსა აგემა ქმნა ზიანისა.

იბყრა ტაო და თურქნი აოტა აჯობა ანუ ჯაბნა ჯაბანნი ანთავისუფლა სოფელ დაბანი ცრემლით ნაბანი კარი და ბანი ხარაჯის ნაცვლად თავად დახარჯა თავზედ იკისრა დიდნი ჯაფანი ხარსა უღელი ვერ უღლის მხარსა და ვერ გასწყვეტავს წელში ჭაპანი.

მსხნელი არს ვინაც ახსნის რამესა ანდა რამესა ახსნის რიდესა კვლავაც მსხნელი არს ვინმე მკურნალი ვინც ჭირ-შეყრილსა ჭირსა ყრიდესა მაგრამ ძნელი არს ორიგ ხელობა მსხნელის წინ კაცნი თავსა ხრიდესა ხილი იგემეს და ვით იხილეს დავით სჭვრიტეს და განადიდესა.

მამუკა სალუქვაძე



ზურაბ ქვეციანიშვილი

სმენასთან მეტყველება, ანუ ადამიანობის უპირველესი ნიშანი არის დაკავშირებული. მეტყველება, თავის მხრივ, ინდივიდის კოგნიტობის, ანუ შეეცნების ხარისხს განაპირობებს. შესაბამისად, სმენის დაქვეითების ადრეულ დიაგნოსტიკას და ჰაბილიტაციის პროცესის დროულად დაწყებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აქედან გამომდინარე, ევროპისა და ამერიკის მონინავე ქვეყნებში ყველა ახალშობილს დაბადებისთანვე გამოეკვლევა სკრინინგულად სმენა. სმენის დაქვეითების დადასტურების შემთხვევაში, სმენადაქვეითებულს ან სასმენი აპარტი მოერგება, ან კობლერული იმპლანტაცია უტარდება. საამაყოა, რომ ახალშობილთა ანალოგიური საყოველთაო სმენის სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა საქართველოში 2006 წლიდან ფუნქციონირებს და თბილისის ყველა სამეანო კლინიკას მოიცავს. საქართველოშივე არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვით სმენადაქვეითებულთა გარკვეულ კატეგორიას სასმენი აპარტი ან კობლერული იმპლანტი ერთ ყურზე სახელმწიფო დაფინანსებით გაცემა. აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში არსებული სასმენი აპარატების ფირმა გერმანიას განეკუთვნება. მისი სახელწოდებაა

კინდ-ჰიორგერეტე. ფირმამ გაითვალისწინა საქართველოს და გერმანიას შორის მრავალწლიანი ტრადიციული ურთიერთკავშირები, გერმანულ კოლეგებთან თანაავტორობით ქართველი აუდიოლოგების მიერ საერთაშორისო პერიოდიკაში უმეტესწილად ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული 130-მდე ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომი, დისერტაციების მასალების მოპოვება გერმანელი აუდიოლოგების მიერ საქართველოში და ქართველი აუდიოლოგების მიერ გერმანიაში. შედეგად, საქართველოსთვის მოწოდებულ სასმენ აპარატებზე ფირმამ მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ფასები დაანესა, ვიდრე სხვა ქვეყანაში, თავად გერმანიის ჩათვლით.

აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში სმენის ხასიათის და ხარისხის ზუსტი შეფასება წარმოებს. ორდინარული სუბიექტურ ტონალურ აუდიომეტრიასთან ერთად დანერგულია ობიექტური აუდიომეტრიაც – სმენის ზღურბლთა განსაზღვრა სმენის გამონვეული პოტენციალების კომპიუტერული ჩანაწერების საფუძველზე. შედეგად, სმენის ფუნქციის შეფასება ნებისმიერი ასაკის ბავშვებში წარმოებს. აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში სპეციალური მედიკამენტოთერაპიით სმენის დაქვეითების ნეგატიური დინამიკის ბლოკირება, სმენის ზღურბლთა გაუმჯობესება ან აღდგენაც კი მიიღწევა. სმენის ჰაბილიტაციის თუ რეჰაბილიტაციის პროცესში, აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის კვალიფიციური ლოგოპედებიც დებულობენ რეგულარულ მონაწილეობას. ცენტრშივე მაღალ საერთაშორისო დონეზე ფონიატრიის განყოფილება ფუნქციონირებს. აქ ხმის პათოლოგიათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა წარმოებს. რეგიონის მასშტაბით ასევე ერთადერთია აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრში არსებული ვესტიბულარული განყოფილება, სადაც ვესტიბულარულ, ანუ წონასწორობის პათოლოგიათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა უმაღლეს დონეზე წარმოებს.



**აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი**

მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. 13

ქალაქის ტელეფონი: 0322 35 60 59

მობილური ტელეფონი: 577 469 450


e-mail: tamunazhvania9 Zagluka gmail.com



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი



სხვადასხვა ქვეყნის ოტორინოლარინგოლოგებს და აუდიოლოგებს ჰქონდათ ტრადიცია, ერთმანეთისთვის ახალი წლის დადგომა მიელოცათ. სურათზე წარმოდგენილი სიმონ ხეჩინაშვილის და ზურაბ ქევანიშვილის მილოცვა ერთ-ერთ საუკეთესოდ იქნა მიჩნეული. აქ ეტლის მამოძრავებელ ძალად ლოკოკინა არის გამო-სახული, ლოკოკინა ანუ კობლეა კი შიგნითა ყურის რეცეპტორული აპარატის სახელწოდებაა. ნაჩვენებია, როგორ კერავს ბარაბანის დაზიანებულ აპკს სიმონ ხეჩინაშვილი. კეთდება მინიშნება დაფის აპკზე ანუ ტიმპანურ მემბრანაზე – გარეთა და შუა ყურის გამყოფ სტრუქტურაზე, რომელიც ქირურგი-ოტოლოგის ერთ-ერთ ორდინალურ საოპერაციო ობიექტს წარმოადგენს. ზურაბ ქევანიშვილი უკრავს არფაზე, რაც აუ-დიოლოგიის სიმბოლოზე მიანიშნებს, წარმოსახულია სიტყვების ფონეტიკურ კონტექსტთა თამაში – Year და ERA. მათგან Year ცხადია, წელიწადს ნიშნავს. მასთან გართიმული ERA და Electric Response Audiometry-ს: ქართულად – აუდიომეტრია ელექტრული პასუხებით.



საახალწლო მილოცვის ერთ-ერთი ფორ-მა გერმანული, კერძოდ, ბერლინის, ერფურტის, მაგდებურგის, საქსონიის, ოტორინოლარინგოლოგთა დანესებულე-ბათა ხელმძღვანელებთან, რომლებთანაც სიმონ ხეჩინაშვილის კლინიკას მჭიდრო კავშირები ჰქონდა. წარმოდგე-ნილია სიტყვების თამაში, BER-lin-ში, ანუ ბერ-ლინში ანუ ბერლინში – BER-ი, Brainstem Electric Response-ს ანუ ტვინის ღეროს ელექტრულ პასუხებს ნიშნავს: ERA-Furt-ში ანუ ერა-ფურტში ანუ ერ-ფურტში – ERA-ში Electric Response Au- diometry ანუ ელექტრული პასუხებით აუდიომეტრია იგულისხმება; Frei-Specht-ERA-KLUBA-ში ანუ ფრაი-შპეხტ-ერა-კლუბაში, მინიშნებული არიან ERA-ში

ანუ ელექტრული პასუხებით აუდიომეტრიაში ჩართული მაგდებურგელი აუდიოლოგები – Freigang-ი, Specht-ი და Klube, ამასთან ამ უკანასკნელთან, Klub ანუ კლუბი ასოცირდება: ფრაიგანგის, შპეხტის ERA კლუბი: Sexoniens ანუ საქსონიელი აუდიოლოგები იუმორით, Sex-oniens-ებად ანუ სექს-ონიელებად არიან მოხსენიებულნი. Halle-ს ანუ ჰალეს ოტორინოლარინგოლოგიის კლინიკის ხელმძღვანელს რითმში Hallo ანუ ჰელოუ მისალმება ეგზავნება: Inter-ERA გრაფის ფარგლებში ინტერნაციონალური ანუ საერთაშორისო მასშტაბის არაგერმანულ ოტორინოლა-რინგოლოგთა-აუდიოლოგთა ჯგუფი არის წარმოდგენილი.



## უფასო სამედიცინო აქცია ჩოხატაურში

6 აპრილი, 10:00 საათიდან

- გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი
- უროლოგი
- დიაგნოსტიკური ექოსკოპია
- ენდოკრინოლოგი

ჯანმრთელობის სახლი გურიაში

551 035 555

ჭავჭავაძის



## არჩილ ხომასურიძე

არჩილ ხომასურიძე დედუღეთის მიმართ სიყვარულსა და თანადგომას საქმით გამოხატავს, მას კიდევ ერთი სასიხარულო შეთავაზება აქვს. ჟურნალ გურიაRegion 2025 წლის იანვრის ნომერში მკითხველს ჩოხატაურის სამშობიაროს დატბორილი და განადგურებული შენობის ფოტოები ვაჩვენეთ, ასე გამოიყურება საუკეთესო ტრადიციების მქონე სამშობიარო სახლი. ბატონი არჩილი აცხადებს, – შენობის რეაბილიტაციის შემდეგ, სამედიცინო დაწესებულებას მაღალკვალიფიციური ექიმებით დააკომპლექტებს. ჩოხატაურის ქომაგი პარლამენტის წევრ ვასილ ჩიგოგიძესთან შეხვედრას და საუბარს იხსენებს... სჯერა, მისი დაპირება არ შეიცვლება, მალე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს განახლებული სამშობიარო სახლი ექნება.

2024 წლის 6 აპრილს პროფესორ ჟორდანიასა და პროფესორ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ექიმებმა ჯანმრთელობის სახლ გურიაში უფასო სამედიცინო კვლევა ჩაატარეს, – მაღალკვალიფიციური ექიმების კონსულტაციები, რეპროდუქტოლოგია, გინეკოლოგია, უროლოგია და დიაგნოსტიკური რადიოლოგია. ბატონი არჩილი თავად სინჯავდა პაციენტებს. რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ექიმები ყოველთვის მზად არიან, ჩოხატაურელების ჯანმრთელობაზე იზრუნონ.

### დედა ენა

კონსტანტინე გამსახურდია იხსენებს: 1919 წელს ბერლინის უნივერსიტეტში მასწავლიდა ცნობილი ფილოლოგი ბარონ ფონ ლიხტენბერგი, ჟურნალ *მემონის* რედაქტორი. ერთხელ ხელიდან გამომართვა ჩემი ბლოკნოტი, სადაც ლამაზი კალიგრაფიით ჩანერილი იყო ქართული ლექსი. ხელნაწერი ყურადღებით დაათვალიერა და მთხოვა, დაბეჭდილი ნიგნი მიმეტანა. ბოლოს რამე დამეწერა. სამი დღის მერე, მესტუმრა და მითხრა, მისთვის ქართული ენა მესწავლებინა, მხოლოდ იმ პირობით, გაკვეთილზე თავად ივლიდა:

– რას ბრძანებთ, ბატონო პროფესორო, ჩემი მასწავლებელიც რომ არ იყოთ, მსოფლიოში ცნობი პიროვნება ხართ. ვერ გადავარწმუნე, სამოცდათხუთმეტი წლის კაცი ჩემთან დადიოდა და ქართულს სწავლობდა.

სამი თვის შემდეგ, ქართულად მომწერა თავისი კალიგრაფიული ხელით დაწერილი ბარათი: ახლა უნდა მოგახსენოთ, ბატონო დოქტორო, დაუფლებული ვარ მსოფლიოს ოცდაოთხენას, თუმცა ასეთი ლამაზი ასოები, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამომხატველი ყოველი ბგერისა, სხვა ალფაბეტში არ მეგულება.

კონსტანტინე გამსახურდია

1964 წელი



# აპის რეზისტენტი

ფუტკრის პროდუქტებიდან თაფლის, დინდგელისა და ცვილის სამკურნალოდ გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. უამრავი ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალითაა დადასტურებული, რომ ისინი ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო ცნობილი.

შემდგომ, როცა დასაბამი მიეცა ფუტკრის ბიოლოგიურ და ეკოლოგიურ საკითხთა შესწავლას, მეცნიერებამ გამოავლინა, რომ ფუტკრის ორგანიზმის მიერ გამოთავებული პროდუქტებიდან, ცვილის გარდა, სადედე რძემ და ფუტკრის შხამმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, რიგ დაავადებათა მიმართ, მათი ღრმად შესწავლა გადაწყდა.

საქართველოში სიახლედ ითვლება ფუტკრის ნატურალურ პროდუქტებზე შპს ახალი ტექნიკა-ლაბორატორიის მიერ დამზადებული სტანდარტიზებული და აპრობირებული პროდუქტი – აპის რეზისტენტი, რომელმაც თავისი შემადგენლობითა და ეფექტით სამედიცინო სამსახურისა და ხალხის (განსაკუთრებით სპორტსმენების) ყურადღება მიიპყრო – დიდი მოთხოვნით სარგებლობს. წარმატებით დაინერგა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ – აშშ-ი, უკრაინაში. შპს ახალი ტექნიკა-ლაბორატორიის დირექტორი შალვა ნადირაშვილი მსოფლიო აპითერაპიის წევრია.

აპის რეზისტენტი – ბუნებრივი ვიტამინების კომპლექსი, დამზადებულია თანაბარმნიშვნელოვანი კომპონენტებისაგან – აკაციის თაფლი და დინდგელი (პროპოლისი).

აპის რეზისტენტი თხევადი, გაუმჭვირვალე სიროფია, თაფლი, რომლის შემცველობა 74%-ია, მონოფროლურია, ერთი სახის მცენარისგან. კერძოდ, აკაციისგან არის მიღებული. ის მაღალი ხარისხისაა და ძირითადად ფრუქტოზისგან შედგება, არ კრისტალდება და წლების განმავლობაში ინარჩუნებს თხევად მდგომარეობას. ფრუქტოზის შემცველობის გამო, ადვილი მოსანელებელია და სხვა დიეტური ფრუქტოზის შემცველ საკვებთან ერთად, როგორც საკვები დანამატი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.

დადგენილია, რომ თაფლს ენერგეტიკული, ბაქტერიოციდული, ფიზიოლოგიურად აქტიური, ფაგოციტოზის ხელშეწყობა. სისხლის წნევის მარეგულირებელი, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი და დამამშვიდებელი თვისებები აქვს. ამიტომ, მას მედიკამენტებთან შედარებით, განსაზღვრული უპირატესობა გააჩნია.

თაფლის სამკურნალო თვისებებს, მისი შემადგენლობა განაპირობებს: ნახშირწყლები ამარაგებს ადამიანის კუნთოვან სისტემას ენერგიით, ფოსფოროვანი ნაერთები აუმჯობესებს ნერვული სისტემის ფუნქციონირებას, კალციუმის მარილები ავითარებს ძვლებს, რკინა და მაგნიუმი ხელს უწყობს საჭმლის მონელებას და ასე შემდეგ. თაფლი გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, საჭმლის მომწესრიგებელი სისტემების ნორმალიზებისთვის, ოფთალმოლოგიური, ონკოლოგიური, დერმატოლოგიური და სხვა დაავადებების სამკურნალოდ.

აპის რეზისტენტის 4%-ს სადედე რძე შეადგენს, ის შეიცავს ნახშირწყლებს, ამინომჟავებს, შაქარს, ცხიმებს, ვიტამინებს და ორგანიზმისთვის საჭირო სხვა ნივთიერებებს. ძველად ფუტკრის სადედე რძეს სამეფო ჟელეს უწოდებდნენ, რადგან ის საზოგადოების რჩეულ წარმომადგენელთა საკვები იყო. XXI საუკუნეში კი მას საოცარი წამალი დაარქვეს.

# APIS RESISTANT



ფუტკრის სადედე რძე შემადგენლობით მეტად განსხვავდება სამუშე ბარტყის გამოსაზრდელად გამოთავებული რძისგან, როგორც სტიმულატორი, ის დედა ფუტკრის ბიოლოგიური განვითარების ხანმოკლე – 16 დღიან ციკლს უზრუნველყოფს. შედარებისთვის: მუშა ფუტკარი 21 დღეში იჩეკება. დედა ფუტკრის სხეულის მასა 250-300 მილიგრამია, სიგრძე 25 მილიმეტრი (მუშა ფუტკრის ნონა 100 მილიგრამი, სიგრძე – 12-15 მილიმეტრი), სადედე რძით გაზრდილი დედა, 5-6 წელიწადს ცოცხლობს (მუშა ფუტკრის სიცოცხლის ხანგრძლივობა აქტიური სეზონის პერიოდში 30-45 დღეა).

სადედე ფუტკრის რძის სასწაულებრივმა თვისებებმა მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო, აქტიურად დაიწყო მისი გამოყენება არა მარტო ადამიანთა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, არამედ გახანგრძლივებისთვის, უკვე დადგენილია ამ კომპონენტის ბაქტერიოციდული მოქმედება 15-ზე მეტი სახის ბაქტერიებზე, გრიპის ვირუსზე, ობის ზოგიერთ სოკოზე, აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა და იმუნოსისტემებს, აწესრიგებს ლიპიდების ცვლას, მომაკვდინებლად მოქმედებს კიბოს უჯრედებზე, აძლიერებს ლაქტაციას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის ოდენობას, აჩქარებს ბავშვის ზრდის პროცესს, ხელს უწყობს ჰემოგლობინის ოდენობასა და ორგანიზმის გამძლეობის მატებას.

აპის რეზისტენტის მესამე, მაგრამ თანაბარი მნიშვნელობის კომპონენტია დინდგელი (პროპოლისი), რომლის შემცველობაც ამ პროდუქტში 2%-ია. ის უცხო უჯრედებს ანადგურებს, ასე რომ, მასპინძლის ფიზიოლოგიურ მიკროფლორას არაფერს ვნებს, ამიტომ მისი გამოყენებისას დისბაქტერიოზი არ ვითარდება, ეს განასხვავებს დინდგელს ანტიბიოტიკისგან. მიკროორგანიზმებს მის მიმართ მდგრადობა არ ახასიათებს. დინდგელის სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდანაა ცნობილი. მას გამოყენების ფართო სპექტრი აქვს – ახასიათებს ბაქტერიოციდული, ბაქტერიოსტატიკური, ფუნგიციდური, ანესთეზიური, ანთების საწინააღმდეგო ეფექტი: ახორცებს ჭრილობებს, გამოიყენება დერმატოლოგიაში, გინეკოლოგიაში, ზედა სასუნთქი გზების ანთების, ბრონქული ასთმის სამკურნალოდ, სიმსივნის კერების ლოკალიზაციისთვის, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს, ზრდის ჰემოგლობინის რაოდენობას. აწესრიგებს ნაღვლის სელექციას, აჩქარებს ოპერაციის შემდგომი ნაწიბურების შეხორცებას, ხელს უწყობს თვალის ბროლის გამჭვირვალობას და მრავალი სხვა დაავადების მიმართ ორგანიზმის მდგრადობას.

გვახსოვდეს, აპის რეზისტენტი წამალი არ არის, იგი კვებითი დანამატია, რომელიც ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლებასთან ერთად, უზრუნველყოფს ამა თუ იმ დაავადების სამკურნალოდ გამოყენებული პრეპარატების ეფექტურობას, მისი მიღება უნდა მოხდეს თანდართული დარიგების (ინსტრუქციის) შესაბამისად.

აპის რეზისტენტში კომპონენტების რაოდენობა ისეა შერჩეული, რომ ორგანიზმი მაქსიმალურად ითვისებს. რომელიმე კომპონენტის ნაკლებობით, ან მეტობით მიღების შესაძლებლობა გამორიცხულია.

აპის რეზისტენტის მიღება შეუძლია ყველას, განურჩევლად სქესისა და ასაკისა – ბავშვებში 5 წლიდან.

მოზილური ტელეფონები: 5 99 772 610; 551 502 828

ლელა სურმავა

# კოლხური ტყე



ნუგზარ ზაზანაშვილი 90-იანი წლების დასაწყისიდან თანამშრომლობდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდ (WWF)-თან. იყო კავკასიის პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. საუკეთესო სპეციალისტს მასშტაბური აზროვნების უნარი ჰქონდა. გურიის ეროვნული პარკის შექმნის იდეა სწორედ მას ეკუთვნის. ბატონი ნუგზარი ჟურნალ გურიაRegion ხშირი რესპონდენტი იყო. დიდი პროექტის დაწყებას, წინ უძღოდა ბახმაროს შესასვლელში პონტოს მუხის არეალის დაცულ ტერიტორიად გამოცხადება. სულ მალე დაცული ტერიტორიების თავმჯდომარის ლაშა მოისწრაფიშვილის და ჟურნალ გურიაRegion აქტიურობით, პირველი ნაბიჯები გადაიდგა – ეროვნული პარკის დაარსებისთვის, მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო.

2024 წელს საქართველოს პარლამენტმა გურიის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ კანონპროექტი მიიღო, ახალი დაცული ტერიტორია ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მოიცავს.

– ბახმაროსა და გომისმთის უნიკალური ბუნება საერთაშორისო კანონმდებლობითაა დაცული.

სამწუხაროდ. ბატონ ნუგზარზე წარსულში ვსაუბრობთ. რამდენიმე წლის წინ, ის მოულოდნელად გარდაიცვალა. ნუგზარ ზაზანაშვილის მოღვაწეობაში მთავარი ფაბულა, ძირითადი ქარგა ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული თანაარსებობა იყო. ჟურნალში ბატონი ნუგზარის კვლევები, შემოქმედება და პუბლიკაციები ყოველთვის დაიბეჭდებოდა.

გთავაზობთ ნუგზარ ზაზანაშვილის კვლევას – კოლხური ტყე და წყალჭარბი ტერიტორიები.


კავკასიის ბუნების მრავალფეროვნების და გამორჩეულობის მთავარი განმსაზღვრელია მისი თავისებური ევოლუციური ისტორია. ისტორიამ ისე იწვინა, რომ დასავლეთ ევრაზიაში მცენარეთა უძველესი სახეობების მნიშვნელოვანი თავშესაფარი (რეფუგიუმი) – კოლხურს რომ ვეძახით – გეოგრაფიულად შავი ზღვის აუზის აღმოსავლეთ ნაწილს ემთხვევა და მისი უდიდესი ცენტრალური ადგილი საქართველოშია.

კოლხეთის მსაზღვრელ სამკუთხედს ქმნიან დასავლეთ კავკასიონი, დასავლეთ მცირე კავკასიონი და ლიხის ქედი. სწორედ ამ ზღუდის არსებობის გამო, კავკასიის ამ ნაწილს არ განუცდია მეოთხეულის გამყინვარების ეპოქების შესამჩნევი ზეგავლენა. აქ მესამეულიდან მოყოლებული, ანუ 2,5 მილიონზე მეტი წლის განმავლობაში, კლიმატი დიდად არ შეცვლილა, ამიტომ, კოლხეთს თავი შეაფარა სითბოს და ტენისმოყვარულ მცენარეთა ბევრმა ემიგრანტმა სახეობამ.

ასევე, კოლხეთის სახეობების წარმოშობის კერად იქცა. აქ ბევრია კოლხეთში წარმოშობილი და შემდგომ ფართოდ გავრცელებული სახეობა. გვხვდება ვიწრო გავრცელების მეორე სახეობებიც. რომლებსაც კოლხეთის გარდა, ბუნებაში ვერსად მიაკვლევთ: ასეთია პონტოს მუხა, მემდედვის არყი, კოლხური თხილი, უნგერნის და სმირნოვის როდოდენდრონები, ეპიგეა და სხვა.

კოლხური ტყის გამორჩეული ნიშანია მარადმწვანე ფართოფოთლოვანი, მაღალი ნახევრად განრთხმული ბუჩქებისაგან შემდგარი ქვეტყე, რასაც უფრო ხშირად





განსაკუთრებით ფასეულია, კოლხეთის დაბლობის წყალჭარბი ტერიტორიებიც, სადაც გავრცელებულია მსოფლიოსთვის იშვიათი და უნიკალური რიგი ეკოსისტემებისა და მცენარეული სახეობებისა. იმავედროულად კოლხეთის დაბლობი და საერთოდ სამხრეთ კოლხეთი მნიშვნელოვანია გადამფრენი ფრინველებისთვის, გარდა უამრავი წყალმცურავი ფრინველისა, ბათუმსა და მიმდებარე ტერიტორიებს შემოდგომაზე მილიონზე მეტი დიდი მტაცებელი ფრინველი გადაუფრენს ხოლმე.

ასე რომ, კოლხური ტყე ერთი მხრივ რეფუგიულია, მეორე მხრივ ის განიხილება მსოფლიოსთვის ასევე იშვიათი – ზომიერი სარტყელის უხვტენიანი (წვიმიანი) ტყე: კოლხეთში ატმოსფერული ნალექების წლიური მაქსიმუმი 450 მმ-ს აღწევს (მთა მტირალასთან) აქ ჰაერის ძალიან მაღალი ტენიანობაცაა და ხშირია ნისლი. ასეთი ეფექტი უხვტენიანი ტყეების გავრცელების არეებისათვის დამახასიათებელი თვისებით არის გამოწვეული,

შქერი, წყავი და ბაძგი ქმნიან. მარადმწვანე მერქნიანი მცენარეების ასეთი სიუხვეც, სრულიად უჩვეულოა არატროპიკული სამყაროსთვის.

მეტად საინტერესოა ისიც, რომ დღემდე კოლხეთში გავრცელებულია ფაუნის ზოგიერთი უძველესი წარმომადგენელიც: მაგალითად, ასეთია, კავკასიური სალამანდრა, რომელიც მხოლოდ მცირე კავკასიონზე, საქართველოში და მის გაგრძელებაზე, თურქეთში ბინადრობს და ამ სახეობის ასაკი 15 მილიონი წელია.

ბახმარო





ბახმარო



გომის მთა

რასაც ტენის ბარიერული დატყვევება შეიძლება ვუნოდოთ. ჩვენ შემთხვევაში ტენი უმეტესად ზღვის მხრიდან მომდინარე ჰაერის მასებს მოაქვს და ამ ტენის უდიდეს ნაწილს, კოლხეთის მსაზღვრელი ქედების ზღვისკენ მიქცელი ფერდობები იჭერს.

და მესამე: აქ ზღვის დონიდან დაახლოებით 600 მ-მდე ზომიერი სარტყელისთვის იშვიათი, ნითელმინა და ყვითელმინა ნიადაგებიცაა გავრცელებული. ეს ყოველივე განსაზღვრავს ამ სარტყლის ნახევრად სუბტროპიკულ ხასიათსაც. ამიტომაც, რომ ამ ზონაში ადგილობრივი ხეხილისა და ვაზის ჯიშის გარდა, ხარობს ჩაი, ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიერფრუტი, კივი და სხვა.

კოლხეთის ფარგლებში განსაკუთრებით მრავალფეროვანია მისი სამხრეთ ნაწილი და აქ მნიშვნელოვანი ფართობია მოქცეული დაცულ ტერიტორიებში (კოლხეთის, მტირალასა და მაჭახელას ეროვნული პარკები, კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები). ხოლო მკაფიო დაცვითი მენეჯმენტის არსებობის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ობიექტის შეტანის ერთ-ერთი პირობაა: ამ სიაში მოხვედრა კი, ამა თუ იმ ობიექტის (ამ შემთხვევაში – ბუნებრივი ობიექტის) უნიკალობის საერთაშორისო აღიარებაა. რაც ერთი მხრივ ხელს უწყობს ქვეყნის პოპულარიზაციას და შესაბამისად – ტურისტების ახალი ნაკადების მოზიდვას. ხოლო

მეორე მხრივ, თვით ობიექტის დაცვის ხარისხის მატებას ემსახურება.

ბოლო წლებში გერმანიის მთავრობის დაფინანსებითა და მიხაელ ზუკოვის ფონდისა (Michel Zuccow Foundation) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ტექნიკური დახმარებით, ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, საქართველოს მთავრობამ და დაცული ტერიტორიების სააგენტომ ჩაატარეს საფუძვლიანი კვლევა, მოამზადეს შესაბამისი დოკუმენტიც და გადადგეს სხვა საჭირო ნაბიჯებიც ამ უნიკალური ბუნებრივი ობიექტების ნომინირებისათვის. ზემოთ ჩამოთვლილი დაცული ტერიტორიების ფარგლებში შერჩეულია 10 მონაკვეთი (UNESCO) ტერმინოლოგიით, სადაც კონცენტრირებულია უნიკალური ბიომრავალფეროვნება, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხისთვის ნომინირება რთული პროცესია – მოთხოვნა ბევრია და მკაცრი. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტის დასახვეწად, რათა ის (UNESCO) წარედგინოს.

კოლხური ტყე და ჭარბტენიანი ტერიტორიები (IUNESCO) სიაში შევიდა. 2021 წელს მტირალასა და კოლხეთის ეროვნულ პარკებს, კინტრიშისა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს მსოფლიო მასშტაბის სტატუსი მიენიჭა.

**ნუგზარ ზაზანაშვილი**



კოლხური ტყე მარადმწვანე ქვეტყით



კავკასიური სალამანდრა

# პალიასტომის ტბა

გურიასა და სამეგრელოს შორის პალიასტომის ტბა მდებარეობს, სიდიდით მესამე ტბაა საქართველოში – ფარავნისა და კარნახის ტბების შემდეგ. 1924 წლამდე ის მტკნარი წყლით იყო სავსე. იშვიათია ზღვასთან ასე ახლოს მტკნარი წყლის დიდი ტბის არსებობა. სწორედ ამ წელს სპეციალურად გათხრილი არხით პალიასტომი ზღვას შეუერთეს. დიდი ღელვებისა და ზვირთების შედეგად, არხი გაფართოვდა და დიდი სრუტით ზღვას დაუკავშირდა. თევზის სახეობა კეფალი პალიასტომში ზღვიდან შემოდის. ერთი კვირის შემდეგ, მარილი ეცლება და საუკეთესო გემო აქვს, ტოფობის, ქვირითობის დროს, თევზს ვერ დაიჭერთ.

მეთევზეებს უწყლოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ. აზარტულია, თევზაობისას დროის შეგრძნებას კარგავ.

## მეთევზეები დიდგულად ვეღარ გააჭურებენ პალიასტომს!..

ჩვენი მარშრუტი გრიგოლეთიდან დაიწყო. საუკუნის წინ აქ სტაროვერები დასახლდნენ. მეურნე ხალხია, ჩითილები გამოჰყავთ. განთქმულია სუფსის კიტრი. თევზაობაც უყვართ, ძებნის მიუხედავად, ისინი ვერ ვიპოვეთ, მხოლოდ მათი უცნაური სახლები შევნიშნეთ.

– როგორია მეთევზეების ყოველდღიური ყოფა? – მეთევზეები თავიანთ დარდს მხოლოდ პალიასტომს უმხელენ.

შეკითხვები არ გვასვენებდა, მათი ძებნა გავაგრძელებთ და ნინოშვილის დასახლებაში მივედით. ტბის ნაპირზე ძველი ნაგებობები და სადგომი დაგვხვდა. მამაკაცები არ ჩანდნენ, ქალბატონი გამოგვეხმაურა.

### – სად არიან მეთევზეები?

– ნინოშვილის დასახლებაში მეთევზეები ცხოვრობენ. ლუკმა პურს თევზაობით ვშოულობთ. ჩვენი ერთადერთი საარსებოა. ახლა აკრძალვაა (ზაპრეტი), ორი თვე უშუშე-ვარი ვართ, ველოდებით, როდის გაგვიშვებენ.

### – როგორ მიდიან აკრძალვის დროს სათევზაოდ?

– ასეთი შემთხვევაც მოხდა, მეთევზე გაუშვეს და იმ საღამოს დაიჭირეს. 2000-4000 ლარის ჯარიმებია, ასეთ რისკზე ვინ წავა?! უყურადღებოდ ვართ, პურის ფულს ვერ ვშოულობთ.

ტბის ნაპირთან ორი მამაკაცი შევნიშნე, როგორც კი მივუახლოვდი, უკან გაბრუნდნენ, საუბარი არ მოისურვეს.

### – გაგვესაუბრეთ, იქნებ დაგეხმაროთ?

– ეჰ, მამა ვერ დამეხმარა, გაფიცებ, არაფერი მკითხო, მე რომ სიმართლე ვთქვა...

### – თქვით სიმართლე...

– უკეთეს ცხოვრებას ვერ ვხედავ!..

### – ორი თვის შემდეგ გაგიშვებენ?..

– არა, საერთოდ არ გვიშვებენ, არც ტბაში, არც ზღვაში.

– იცით, ეს ტერიტორია კოლხეთის ეროვნულ პარკს ეკუთვნის?

– კანონებში ვრ ვერკვევი – სევდიანი ხმით მიპასუხა.

მეთევზის შვილი თავდახრილი ისმენდა ჩვენს დიალოგს.

ისევ ქალბატონმა იაქტიურა: ვიცით, თევზაობა საერთოდ არ შეიძლება. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, ფოთის მერი სთხოვდა – ხალხს ეკონომიურად უჭირს, დავეხმაროთ, ვეცოდებოდით და სათევზაოდ

გვიშვებდნენ, ახლა წასვლაც უშედეგოა, ტბაში თევზი აღარ არის.

– დაცული ტერიტორიის არსებობა, თქვენთვის დადებითი ფაქტორია?

– არა, ისევე სიღარიბეში ვცხოვრობთ. გაუვალ ტყეში ნადირობაც აკრძალულია. ახლა უცხოელის თვალის ასახვევად საქმიანობენ, სურთ გაასეირნონ, ჩვენზე არავინ ფიქრობს. ნინოშვილის დასახლებაში 3000 ოჯახი ცხოვრობს. 6 ქარხანა იყო, დაანგრეს, წილები გაინაწილეს, ხელისუფლებას ბევრს არ ვთხოვთ, დასაქმება გვინდა. კიდევ კარგი თურქეთი ახლოსაა, გუშინ სამუშაოდ 20 ახალგაზრდა წავიდა.

– თურქეთში ჩაის პლანტაციაში კატორღულ პირობებში შრომობენ.

– უსახსროდ ყოფნას სჯობია!..

### – ხელისუფლების წარმომადგენლები მოდიან?

– მარტო არჩევნების წინ ვახსენებდები.

### – რას გპირდებიან?

– წინა ხელისუფლების დროს, კარგ ცხოვრებას ცხრა წელი ელოდით – ეს აქვთ სალაპარაკო. მთავრობის შეცვლა არ გვიშველის, ჩვენთან იყო ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი ეკა ბესელია. მარტო დაპირებები გვესმის. სხვა სიკეთე არ ჩანს – როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდეს – ასე უიმედოდ ვცხოვრობთ.

### – თქვენს დეპუტატს ყურნალს მივუტანთ...

– ყველამ მიგვატოვა, ჩვენზე არავინ ზრუნავს. მესმის, დასაქმება გლობალური პრობლემაა, დრო გადის და უფრო რთულ პირობებში ვართ.

სიდუხჭირის მიუხედავად, ნინოშვილის დასახლების მცხოვრებლები დასაქმებას ფართო ჭრილში განიხილავენ. პალიასტომზე ქვირითობის პერიოდს რეინჯერები იცავს. მეთევზეები ჯარიმების შიშით, თევზობას ვერ ბედავენ. მკაცრი კონტროლი იცავს თუ არა პარკს ბრაკონიერებისგან, ამ დრომდე მათ ნაკლებად იჭერენ, მარტო სუსტი იჩაგრება.

კოლხეთის დაბლობის დაცულ ტერიტორიაზე აბსოლუტურად დაუცველ ადამიანებს შევხვდით, თავიანთ დარდს ისევე პალიასტომს უმხელენ.

პალიასტომი კი, ადამიანის საიდუმლოს ყველაზე კარგად ინახავს.

ლელა სურმაკა

ყურნალი გურია Region

2014, N5, ივლისი



# თბილისი გაუს უკრაინა...



ვასილ ჩიგოგიძე

გენერალური რეპეტიცია! – თვით მსახიობთა მიერ ასე გამოიკვეთა 20 თებერვლის სპექტაკლი. თითქოსდა გზის დასალოცად, დარბაზი და პარტერი მაყურებელს აევსო. იყო მოწონების დასტური – ტაში, მაგრამ მაინც შეიკრიბა სპექტაკლის შემდეგ დასი.

არა, არც ეს სპექტაკლი ნავიდა შენიშვნის გარეშე!  
– ჩვენ უნდა წარვეთ თბილისელი მაყურებლის წინაშე. მათ შეუმჩნეველი არ დარჩებათ არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, ოდნავი ყალბი ტონი. გაითვალისწინეთ, ამ სპექტაკლით ჩვენ საგანგებო მისია გვაკისრია. – მეცამეტე თავმჯდომარეს ვუჩვენებთ...

ბევრის მთქმელიც იყო, დამაფიქრებელიც თეატრის დირექტორისა და მთავარი რეჟისორის ვასილ ჩიგოგიძის ეს სიტყვები, დიდი იყო პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელსაც ემატებოდა პირველობის მისია – კომუნისტთა დიდი ფორუმისადმი მიძღვნილი სპექტაკლების ჩვენება-დათვალიერებას ინყებდა მახარაძის სახელმწიფო თეატრი.

განწყობა – ამაღლებული, სურვილი? დადასტურება იმისა, რომ შეიდგზის საკავშირო დროშის მფლობელი რაიონის მშრომელთა კულტურული ცხოვრება, დგას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

22 თებერვლის პირველი სიხარული – მახარაძელთა სპექტაკლზე ყველა ბილეთი გაყიდულია! საპირისპიროც იყო შედეგი – იმატა იმათმა რიცხვმა, ვისაც სინანული ავსებდა, თეატრში ვერშეღწევის გამო.

გამინაურების გრძნობა! – აი, რა იყო უმთავრესი მახარაძელი მსახიობებისათვის და რაოდენ სასიამოვნო იყო, რომ თეატრალურმა საზოგადოებამ, მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივმა შეგუების გრძნობისათვის ყველაფერი გააკეთა.

მახარაძელებს წამითაც არ აკლებდნენ ყურადღებას, თეატრმცოდნე ვაჟა ბრეგაძე, მარჯანიშვილელი კუკური მჟავანაძეც ყოველმხრივ მზადყოფნას გამოხატავდა მსახიობთა სურვილის შესასრულებლად.

23 თებერვალი. დილის საათები. ჯერ სარეპეტიციო სამზადისი, მზადყოფნის ნიშანი და ვასილ ჩიგოგიძე ჩვეულებრივ ეუფლება სპექტაკლის მიმდინარეობის მთლიან პულტს.

ისევ ცხადლივი შეგრძნება იმისა, თუ რა დიდი განსხვავებაა მახარაძისა და მარჯანიშვილის თეატრების დარბაზებს შორის, შესაცვლელია ხმის ტონალობა, მსახიობი მაშინ მოიგებს, თუ გაითვალისწინებს აკუსტიკას...

ისევ უკმარისობის გრძობა, ძნელდება მრავალჯერ ნათამაშევი გმირის ახალ ამპლუაში მოქცევა, ხმის ტემპრის მკვეთრი შენელება.

არავითარი დაღლის გრძობა, კიდეც ერთხელ! – მოითხოვს რეჟისორი და მსახიობები მზად არიან ეს ერთხელ მანამ გაგრძელდეს, სანამ მათი გმირი არ მოერგება სცენას და დარბაზს.

აქაც არიან მაყურებლები. მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრის მსახიობები დარბაზში თავიანთი ყოფნით შეგუების უნარს უადვილებენ კოლეგებს, თავისებურ მხარდაჭერას გამოხატავენ.

მთლიანობაში მოექცა სპექტაკლი და შემუშავდა საერთო აზრი; ასეთი დონე დააკმაყოფილებს მკაცრ და სამართლიან მაყურებელს.

ცოტაც და რვას მიითვლის საათის ისრები. მღელვარება ეძალება მახარაძელ გულშემმატიკვირებს.

– მაყურებელი რომ კანტი-კუნტად ჩანს? – საწუხარს ვერ ფარავს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ვაჟა სალუქვაძე.

– ჩვენი დარბაზები სპექტაკლების დაწყებამდე 5-10 წუთით ადრე ივსება – დამაჯერებლად გვესმის იქვე მდგომი ჯგუფიდან.

სასიამოვნოდ ახდენილი საიმედოობა – დარბაზსა და პარტერში აღარსადაა თავისუფალი ადგილი. ბევრმაც მუხლ-მოუხრელად გადამწყვიტა სპექტაკლის ნახვა.

შეხვედრის ტრადიციული ცერემონიალი – მახარაძელ სტუმრებს და თბილისელ მაყურებლებს ესალმება თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელი, დრამატურგი გიორგი ხუხაშვილი.

– ჩვენი მიზანია, დავიპყროთ თქვენი გული, თუ ამას მივალწევთ, თავს გამარჯვებულად ჩავთვლით! – ყველა მახარაძელის დიდი სურვილი გამოხატა თავის გამოსვლაში ვასილ ჩიგოგიძემ.

დარბაზში თანდათან მიმქრალა შუქი, უფრო იკვეთება ლომგულ მურუსიძის და მამია თუთაიშვილის მკაცრი და ძუნწი გაფორმების მხატვრული შინაარსი, მონაცვლეობით



ოზურგეთის დრამატული სახელმწიფო თეატრი



ინთებიან შუქნიშნები, სცენის სიღრმეში დაშვებული ჯაჭვი, კანონის შეუვალობაზე მიგვანიშნებს. მძაფრდება მუსიკა და მაყურებელი მაშინვე ექცევა თემიდას სასწორის გამგებელთა ტყვეობაში.

უპირველესი კონტაქტი – სცენასა და დარბაზს შორის – დადებითად გადაწყდა, ამან თავისი თავი და გმირი მაშინვე აპოვინა ჩვენს მსახიობებს. მათი უშუალო, სცენური ოსტატობა, პროფესიონალიზმი თანდათან უფრო გამოიკვეთა და არც აგვიანებდა რეაქცია – ხშირად გაისმოდა ტაში, მონონების შეძახილები, იყო ესეც – ბევრი მსახიობი დაელოდა მაყურებლის ოვაციის მინელებას.

ამაღლებულად დაინყო და ზეანეულად წავიდა მთელი სპექტაკლი, ასეთივე იყო დასასრული და უფრო ამაღლებული თავყვანისცემის გამოხატვის გრძნობა – დიდხანს არ დაცხრა ტაში, მომრავლდნენ მიხაკები.

ჩემი, როგორც მაყურებლის მისია რომ დამთავრდა, ეს უპირველესად, მარგო ავაქიანმა, მახარადის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა მომაგონა, თქვენ, გენაცვალეთ, თქვენ! – ჩურჩულებდა იგი და ცრემლებს მალავდა. სხვები? როგორი განწყობით არიან, სხვები? – გაიღვიძა პროფესიულმა ჟინმა და არც დააყოვნეს პასუხებმა – შესანიშნავი სპექტაკლია, ყველანი კარგები იყვნენ. შეუვსებელი ფურცელი პირველმა შეავსო დოდო კვაჭაძემ.

– არ მოველოდით ასეთ დადგმას და ასეთ შესრულებას. მთელ კოლექტივს მადლობა! – ასე გამოხატეს თავიანთი კმაყოფილება ჟურნალ ნიანგის მუშაკებმა სონია ციციშვილი და ბერტა აბშილაძემ.

მახარადის თეატრის სპექტაკლი პირველად ვნახე და დიდი სიამოვნებაც მივიღე! – აღტაცება ავტოგრაფით დაგვიდასტურა ინჟინერმა ნუგზარ მჭედლიშვილმა.

ახლა რამდენიმე სტრიქონით გავუსწრებ 23 თებერვლის მღელვარე დღეებს.

26 თებერვალი, საქართველოს ტელევიზია – თეატრალურ შეხვედრებში რამდენიმე წუთი ეთმობა მახარაძელთა სპექტაკლს – მეცამეტე თავმჯდომარეს.

მათთვის, ვინც მარჯანიშვილის თეატრში მახარაძელთა ტრიუმფი ნახა, ეს იყო განმეორებითი სიამოვნების მინიჭება და დასტური იმ აღტაცებისა, რაც სპექტაკლის ნახვის შემდეგ, ასე გამოხატა ტელევიზიის რეჟისორმა პაატა ფანცულაიძე: პირველად მომეცა საშუალება მახარაძის თეატრის სპექტაკლის ნახვის, შეიძლება ეს ჩემთვის მიუტევებელიც იყოს, მაგრამ... საყრილობო გადაცემისათვის მე ჩავინერე ამ სპექტაკლიდან სცენა სტუდიის ატმოსფეროში და იმ პატარა სცენის გადაღების დროს, ვიგრძენი მსახიობების – ლომინაძის და ქადეიშვილის ძალა და უშუალობა. მაშინ დამებადა სურვილი სპექტაკლის მთლიანად ხილვის და, აი, დღეს, ეს სიამოვნება ხელმეორედ განვიცადე. მსახიობებმა თავისად გაიხადეს პიესაში მომხდარი ამბავი და თავიანთი გულწრფელი თამაშით, მაყურებელიც გაახარეს.

ვულოცავ დამდგმელ რეჟისორს ვასილ ჩიგოგიძეს ამ წარმატებას...

ისევ იმ დღეთა მღელვარების გაგრძელება.

კმაყოფილი მაყურებელი ტოვებს დარბაზს და კვლავ შეხვედრის სურვილს. მსახიობები თანდათან აცხრობენ მღელვარებას, გულშემატკივართა ჯგუფი ფოიეშიც აგრძელებს საუბარს თავინთ შთაბეჭდილებაზე, უცებ ვილაციის ჩურჩული ხმაურს ფარავს:

– ბატონი თემური!

დიახ, ეს ცნობილი რეჟისორი და მსახიობი თემურ ჩხეიძეა, იგი კმაყოფილია და წარმატებას ულოცავს მსახიობებს.

– ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის განსაკუთრებული იქნება თქვენი აზრი!

მისი სიკეთით სავსე, ბავშვური თვალეტი საოცარ სითბოს ასხივებენ. სალი აზრი კი ასეთ შეფასებას აძლევს მახარაძელს: საინტერესო სპექტაკლია, რაც მთავარია, ძალიან კარგად და ბუნებრივად თამაშობენ. ამ სპექტაკლის დონე მეკეთრად განსხვავდება ადრე ამ თეატრში ჩემს მიერ ნანახი სპექტაკლებისაგან.


დიდი მადლობა!

მომავალ წარმატებებს გისურვებთ. თემურ ჩხეიძე.

დიდი ხელოვანისგან ასეთი აღიარება, ჩვენი თეატრის კოლექტივის მართლაც დიდი გამარჯვებაა.

**ეთერ ქადეიშვილი**

**გაგრძელება მომდევნო ნომერში**



ვასილ ჩიგოგიძე

# ვაჟა გოგოლაძე 100



არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი მოვანობითა და ცხოვრების წესით, წარუშლელ კვალს ტოვებენ ერის კულტურულ ცხოვრებაში. ასეთი იყო ქართული ხალხური სიმღერის უბადლო შემსრულებელი, ჩოხატაურის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელი, ლოტბარი ვაჟა გოგოლაძე. იგი დაიბადა 1927 წლის 19 იანვარს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლესუბანში. დედა ელისაბედ ჯიბლაძე კარგი დიასახლისი და ჩინებული მომღერალი იყო, შესანიშნავი სოპრანოთი ასრულებდა გურულ სიმღერებს და საგალობლებს. მამა ბარნაბ გოგოლაძე დურგალი, ხალხური სიმღერის დიდი მოტრფიალე და კარგი მოკრიმანჭულე იყო. ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ დედამამიშვილები: ბარნაბი, ლადიმე, სანდრო, ხარამპრი, ელისაბედი და პასიკო. ამ თვალტანადი ქალიშვილებისა და ბრგე ვაჟკაცების ქეიფსა და სიმღერების მოსმენას არაფერი სჯობდა.

ვაჟას ამ ქვეყნად მოვლინებას დიდი სიხარული გამოუწვევია, რადგან ბარნაბს ორი ქალიშვილი ჰყავდა და 15 წლის შემდეგ ნანატრი ვაჟი გაჩნდა. გადიოდა წლები, ვაჟა თავის უფროს დებთან შურასა და მარგალიტასთან ერთად, ხმაშენყობილად მღეროდა ურთულეს გურულ სიმღერებს. მათი პირველი მასწავლებელი დედა იყო, რომელმაც ჩაუნერგა შვილებს სიმღერის უსაზღვრო სიყვარული.

ვაჟა გოგოლაძის მოსწავლეობის პერიოდი 40-იან წლებს ემთხვევა. ამ პერიოდში დაიწყო სალოტბარო საქმიანობა. სკოლაში შეკრიბა მუსიკალური მონაცემების მქონე ახალგაზრდები და მთელი სერიოზულობით შეუდგა მათთან მუშაობას. მისი ხელმძღვანელობით მომღერალთა გუნდი წარმატებით მონაწილეობდა სასკოლო და სარაიონო ღონისძიებებში და ყოველთვის მაყურებლის დიდ მოწონებას იმსახურებდა. 1944 წელს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა, კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა გურიაში შეარჩია რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელიც სწავლას გააგრძელებდა კონსერვატორიაში, მათ შორის იყო ვაჟა გოგოლაძეც, სამწუხაროდ სხვადასხვა მიზე-

ზების გამო ვერ შეძლო თბილისში სასწავლებლად წასვლა.

1947 წელს ვაჟა გოგოლაძე პედაგოგიურ საქმიანობას იწყებს გუთურის, დაბლაციხის, განახლებისა და ჩოხატაურის პირველ საშუალო სკოლებში. ასევე ჩოხატაურის სარაიონო კულტურის სახლში ჩამოაყალიბა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელმაც მოამზადა რამდენიმე ერთმოქმედებიანი კომედია. ნიჭიერმა ახალგაზრდამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩოხატაურის სახალხო თეატრის რეჟისორ მიხეილ ჯალალანიაზე, რომელმაც შემდგომ იგი სახალხო თეატრში მიიწვია, სადაც მან რამდენიმე დასამსხვრებელი როლები შეასრულა.

1950 – წელს ვაჟა გოგოლაძე თბილისში, ხალხური შემოქმედების სახლში გუნდის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გააგზავნეს. ამ პერიოდში ჩოხატაურში შეიქმნა ანსამბლი 80 ქალ-ვაჟის შემადგენლობით. ხელმძღვანელად დაინიშნა სახელმწიფო ანსამბლიდან ახლად დაბრუნებული ლადიმე ბერძენიშვილი, იგი გურული ხალხური სიმღერის შესწავლას ხელმძღვანელობდა, ხოლო ვაჟა გოგოლაძე კლასიკურ და თანამედროვე სიმღერებს, ქორეოგრაფიას კი გიორგი ქუთათელაძე, ანსამბლმა დიდი წარმატებით მიიღო მონაწილეობა რესპუბლიკურ დათვალეიერებაზე, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში ჩატარდა. დათვალეიერების შემდეგ ანსამბლის ხელმძღვანელს ლადიმე ბერძენიშვილს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა, ხოლო ახალგაზრდა ლოტბარი ვაჟა გოგოლაძე პრეზიდენტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. ანსამბლის ხელმძღვანელს და მის წევრებს მრავალმა გამოჩენილმა ადამიანმა მიულოცა წარმატება. აღფრთოვანებას ვერ მალავდა სალამოს წამყვანი კოტე მახარაძე და ჩოხატაურის რაიონის იმჟამინდელი ხელმძღვანელი შოთა ჭანუყვაძე.



ვაჟა გოგოლაძე, არტემ და ამზორ ერქომაიშვილები

1956 – წელს ვაჟა გოგოლაძემ მიიღო კომპოზიტორ გრიგოლ კოკელაძისა და ლოტბარ ვასო მახარაძის ერთობლივი წერილი, თბილისში სწავლის გაგრძელებას სთავაზობდნენ. ამჯერად მართლაც წავიდა თბილისში და კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ჩაირიცხა (საგუნდო – სადირიჟორო განყოფილება) სასწავლებელში სწავლის პერიოდში შეიქმნა ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ: შემდგომ გამოჩენილი მომღერლები: ანზორ ერქომაიშვილი, თემურ ქევიშვილი, გივი ბახტაძე, ბადრი თოიძე, ზაურ ხუჯაძე, ნუგზარ ჩხაიძე, გენო მუჯირი, თამაზ ანდლულაძე, შოთა სამხარაძე, ვაჟა გოგოლაძე. შესანიშნავმა ანსამბლმა 22 კონცერტი გამართა, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. ვაჟა გოგოლაძე მუსიკისმცოდნე მიშა ყანჩელის რეკომენდაციით გააგზავნეს რუსთავის მეტალურგთა სასახლეში სიმღერის გუნდის



ხელმძღვანელად. ამ პერიოდში მოამზადა ქალაქ რუსთავის გაერთიანებული ანსამბლი. ასევე მუსიკალურად გააფორმა რუსთავისა და გორის თეატრებში რამდენიმე სპექტაკლი.

1979 წელს ვაჟა გოგოლაძე მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა. ამავე წლის ოქტომბერში ჩოხატაურში ჩატარდა ფოლკლორული საღამო, რომლის მშვენიერა ანსამბლი გურია იყო. ღონისძიებას უძღვებოდნენ ყველასათვის კარგად ცნობილი ფოლკლორისტები ვახუშტი კოტეტიშვილი და ალექსი ჭინჭარაული. 1983 წელს ჩოხატაურს ეწვია იაპონელი მუსიკისმცოდნე, პროფესორი სან-მორიტა. რომელიც ჩამოსვლისთანავე სუფრასთან მიუწვევიათ, სადაც ანსამბლი გურიას მიერ შესრულებული სიმღერები და სადღეგრძელოებიც მთლიანად ჩაუწერია. მეორე დღეს კი გურიას წევრები სტუმართან ერთ-ერთ ანსამბლის წევრს – ვანო გუდავაძეს ეწვივნენ სოფელ ქვაბლაში. მისვლისთანავე ავთო მახარაძემ ხასანბეგურა წამოიწყო, ვანო გუდავაძემ კრინამჭული დაკვესა, ვაჟა გოგოლაძემ ბანი შეაშველა და სიმღერაც აგუგუნდა... სან-მორიტამ მრავალი სიმღერა ჩაიწერა, როგორც მთლიანად ასევე ცალ-ცალკე ხმებიც ვაჟა გოგოლაძის შესრულებით. იგი ჩოხატაურიდან აღფრთოვანებული და ბედნიერი წავიდა. ამ შესანიშნავი ეთნომუსიკოლოგის ჩაწერილი სიმღერები კი რამდენჯერმე გადაიცა ტოკიოს ტელე-რადიო კომპანიების მიერ.

1984 წელს გადაიღეს ფერადი მუსიკალური ფილმი გურიის მთების კრინამჭული (სცენარის ავტორი და მუსიკალური გამფორმებელი – ვაჟა გოგოლაძე, რეჟისორი – ირაკლი კინწურაშვილი, ხმის რეჟისორი მერაბ გოგოლაძე). ფილმში გადაღებულია ჩოხატაურის ღირსშესანიშნაობები, ანსამბლ გურიას მიერ შესრულებული სიმღერები, აღსანიშნავია, რომ ფილმში ერთ-ერთი ეპიზოდი მიეძღვნა ღვანდომოსილ პიროვნებას, ქირურგ სოსო გოგოლაძეს (ოპერაციის პროცესი) ამ პატარა მონაკვეთმა შემოუნახა მომავალ თაობას ბატონი სოსო გოგოლაძის ოსტატობისა და პროფესიონალიზმის ამსახველი კადრები. ფილმი რესპუბლიკურ ფესტივალზე პირველი ხარისხის პრიზით დაჯილდოვდა.

1985 – წელს საქართველოს ტელევიზიის ხალხური შემოქმედების რედაქციამ გადაიღო ფილმი: შეხვედრა კერიასთან (რედაქტორი – თემურ ჭკუასელი, რეჟისორი

როდამ ჭელიძე, ხმის რეჟისორი მერაბ გოგოლაძე, ოპერატორი გია სიხარულიძე) ფილმში მონაწილეობდნენ: ვაჟა გოგოლაძე, ოთარ ბერძენიშვილი, ავთო მახარაძე, ვანო გუდავაძე, ხალხური მთქმელი გულივერ შარაშიძე, ლოტბარი გიორგი სალუქვაძე. ფილმი აღიარეს წლის საუკეთესო ნამუშევრად.

1991 წელს ჩოხატაურში ჩამოვიდნენ ბერლინის შედარებითი მუსიკისმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი სუზანა ციგლერი და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის მეცნიერ-თანამშრომლები: ნატო ზუმბაძე, ქეთევან მათიაშვილი, თინათინ ფვანია. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ედიშერ გარაყანიძე. სუზანა ციგლერის მონათხრობით ვიგებთ ბერლინში მოღვაწეობდა ეთნომუსიკოლოგი ერნსტ ემსჰაიმერი, რომელმაც 1935 წელს ლენინგრადში მოისმინა და ჩაიწერა გურული სიმღერების უბადლო შემსრულებლები: თეოფილე ლომთათიძე, ლადიმე ბერძენიშვილი, ერმალო სიხარულიძე, მიხეილ კოროშინაძე და უშანგი შევარდნაძე. ემსჰაიმერს გადაწყვეტილი ჰქონდა გამოეცა გურული სიმღერების კრებული, მაგრამ სამწუხაროდ ამ საქმის დასრულება მას არ დასცალდა და გადავწყვიტე ჩემი კოლეგის დაწყებული საქმე წარმატებით გავაგრძელო... ქალბატონი სუზანა მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ბერლინში და მოპოვებული მასალებით რამდენიმე კომპაქტ დისკი გამოიცა.

1993 წლის 12 ივნისს ჩოხატაურში დიდი ზემოთ აღინიშნა ანსამბლ გურიას დაარსებიდან 25 წელი. ღონისძიებას უძღვებოდნენ – მუსიკისმცოდნე მანანა გოგოლაძე და ხელოვნების ქომაგი ილია ცინცაძე. ხალხური შემოქმედების ცენტრის დირექტორმა ცისანა ქოჩიჩაშვილმა ვაჟა გოგოლაძეს დიპლომი და ფასიანი საჩუქარი გადასცა. ვაჟა გოგოლაძემ ანსამბლ გურიას სახელით მადლობა გადაუხადა ჩოხატაურის გამგებელს გია ცინცაძეს, კულტურის სამსახურის უფროსს რევაზ თედორაძეს და სხვა ხელმძღვანელ პირებს თანადგომისთვის. 2006 წელს ანსამბლი გურია მიიწვიეს საფრანგეთში. ანსამბლმა პარიზის ერთ-ერთ რადიოში 22 სიმღერა შეასრულა პირდაპირ ეთერში. ვაჟა გოგოლაძე პარიზში გარკვეული პერიოდით დარჩა, იქ არსებული ქართული ხალხური ანსამბლების საკონსულტაციოდ, ანსამბლის წევრები კი სამშობლოში დაბრუნდნენ. სამწუხაროდ ვაჟა გოგოლაძე პარიზში მოულოდნელად გარდაიცვალა.

ვაჟა გოგოლაძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული ხალხურის სიმღერის განვითარებასა და პოპულარიზაციაში. მან მრავალი თაობა აღზარდა, დღეს ჩოხატაურის კულტურის ცენტრთან არსებულ ანსამბლს ამალეობა ამშვენებენ მისი აღზრდილები. ვაჟა გოგოლაძეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მუშაკის ნოდება. დაჯილდოებულია მედლით შრომის ვეტერანი.

ვაჟა გოგოლაძეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. მისი სიმღერით გავლილი გზა უკვდავია სამარადისოდ.

ქრისტინე კალანდაძე

# თათია გაბუნია – წარმატებული მეკარე



თათია გაბუნია, იგივე – გაბუ, როგორც მას მეგობრები ეძახიან, ჩოხატაურში დაიბადა, დაამთავრა №1 საჯარო სკოლა. სკოლის პარალელურად ეუფლებოდა ცეკვას, სიმღერას, ხატვას. მე-6 კლასში იყო, როცა ფეხბურთის თამაში დაიწყო მეზობლის ბიჭებთან და კლასელებთან ერთად. მერე უფრო სერიოზულად დაინტერესდა ფეხბურთით და გადაწყვიტა სპორტის ამ სახეობაში ემუშავა. თუმცა ყველა ეუბნებოდა, შენ გოგო ხარ და არ შეგშენის ფეხბურთის თამაში, სწავლას უნდა მიხედო და სხვა საქმით დაკავდე. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, მიზანდასახულმა გოგონამ მისი სანუკვარი სურვილი აისრულა.

2014 წელს ლანჩხუთში ჩატარდა შეჯიბრი მინი ფეხბურთში, სკოლებს შორის, სადაც თათიამ მეგობრებთან ერთად მიიღო მონაწილეობა. ამ ტურნირს ესწრებოდა ლანჩხუთის ქალთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი თამაზ კოსტავა და გერა ნაჭყებია, რომლებმაც მიიწვიეს ასაკობრივ ეროვნულ ნაკრებში, როგორც თავდამსხმელი. თათია ამ წინადადებაზე სიამოვნებით დათანხმდა.

დროთა განმავლობაში დაინტერესდა, როგორი იქნებოდა მეკარის პოზიცია, მეკარის თვალთ დანახული ფეხბურთის თამაში. მწვრთნელსაც მოეწონა მისი გადაწყვეტილება, იქნებ უკეთესად გამოგივიდეს და ასე აღმოჩნდა თავდამსხმელი – კარში. კითხვაზე – რა თვისებები უნდა ჰქონდეს მეკარეს, თათია პასუხობს: მიუხედავად იმისა, რომ მეკარეს არ უნევს ბევრი სირბილი, მაინც ძალიან იღლება, როგორც ყველა ფეხბურთელი. ვარჯიშზე შეიძლება მეკარე უფრო დაიღალოს, რადგან ამ სფეროს სხვა სპეციფიკა აქვს. მას სჭირდება გამბედაობა, სიზუსტე, ხტომა, სისწრაფე, სისხარტე, კონცენტრაცია... მეკარე გუნდის 50 პროცენტს წარმოადგენს.

როცა მთელი გუნდი ცდილობს გოლი გაიტანოს, დაცვა ცდილობს კარი დაიცვას, მეკარე ამ დროს მაქსიმალურად ცდილობს კარი შეინარჩუნოს... რა თქმა უნდა პირველ ხანებში არ იყო ადვილი, ამას თავიდან მოსდევდა ტრავმები, პატარა მოტეხილობები, სილურჯეები... ზოგადად სპორტი ტრავმის გარეშე არ არსებობს. თავიდან ეს ყველაფერი მკვეთრად იჩენს თავს, მერე თანდათან სწავლობ სწორად გადახტომას, სწორად დანოლას, სიმალეში ახტომას, ეგუები ყველაფერს და ტკივილსაც იმდენად ველარ გრძნობ. შეიძლება თამაშის დროს ტრავმა მიიღო, მაგრამ იმდენად აზარტში ხარ და იმხელა ადრენალინი გაქვს, რომ იმ მომენტში ტკივილს ვერ გრძნობ...

ლანჩხუთში 9 წელი გაატარა და როგორც თვითონ ამბობს, ეს იყო ყველაზე ლამაზი და ბედნიერი წლები მის ცხოვრებაში. მაღლიერია რომ იქ გაიზარდა და ჩამოყალიბდა როგორც ფეხბურთელი. მაღლიერია რომ მეკარეობა თამაზ კოსტავამ დააწყებინა და აპოვნინა საკუთარი თავი. ასევე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებს ლანჩხუთის ღირექტორს – დურმიშხან ჩხაიძეს.

2019 წელს გუნდი გახდა ჩემპიონი და მოაპოვა საგზური ჩემპიონთა ლიგისკენ. 2020 წელს იასპარეზა ჩემპიონთა ლიგაზე, სადაც გუნდმა ორი თამაში ზედიზედ მოიგო და მესამე თამაშში დამარცხდნენ.

ლანჩხუთის ქალთა ფეხბურთელებმა თავდადებული დამოკიდებულებით სპორტის ამ სახეობისადმი გულშემატკივრების დიდი სიყვარული და დაინტერესება მოიპოვეს.

2023 წელს თათიამ დატოვა ლანჩხუთი და გადავიდა თბილისის გუნდში – კვარტალი, სადაც მან სეზონის ბოლომდე ითამაშა. დღეს თათია კვლავ ლანჩხუთშია, მან ყველა ასაკობრივ ნაკრები გამოიარა, ამჯერად კი ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თათია გაბუნია თბილისის თეატრალური უნივერსიტეტის კულტურული ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტია. დარწმუნებული ვართ, ნიჭიერი გოგონა ამ სფეროშიც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევს.

*ქეთევან კუკულავა*



# ნუკი

ნუკიმ სკოლის დამთავრების შემდეგ, წარმატებით ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – კიბერნეტიკის ფაკულტეტზე. საუკეთესო სტუდენტობა ჰქონდა, მეგობრებთან ერთად საქართველოს თითქმის ყველა კუთხე -კუნჭული შემოიარა. მესამე კურსზე იყო, როცა, გერმანიაში ბონის უნივერსიტეტში ერთი წლით გაგზავნეს, როგორც საუკეთესო სტუდენტი. სწორედ აქ შეხვდა ირაკლი ბაძალუას, მომავალ ფიზიკოსს, რომელიც თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან იყო წარგზავნილი. ლექციების შემდეგ თითქმის სულ ერთად იყვნენ. ერთად ათვალიერებდნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, უამრავ ფოტოს იღებდნენ. მათ ბონის უნივერსიტეტში ისეთი კარგი ავტორიტეტი მოიპოვეს, რომ გერმანელმა ლექტორებმა საქართველოში მადლობის წერილი გამოგზავნეს. მალე მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და სამშობლოში დაბრუნებიდან ერთი თვის თავზე იქორწინეს.

ნუკი შესანიშნავად უთავსებდა ერთმანეთს სწავლას და ოჯახის საქმეებს. დედამთილი მეზობლებსა და ახლობლებში მუდამ მის ქებაში იყო. ოჯახში საოცარი იდილია სუფევდა. ახალგაზრდებმა უნივერსიტეტი დაამთავრეს, დიპლომიც აიღეს და ტყუპი გოგონებიც შეეძინათ. ბავშვების გაჩენამ სიყვარული კიდევ უფრო განამტკიცა. ნუკი შესანიშნავად ზრდიდა შვილებს, ირაკლიმ მუშაობა დაიწყო, თუმცა შემოსავალი არცთუ მაღალი ჰქონდა. ბავშვები მალე წამოიზარდნენ, საბავშვო ბაღში მიიყვანეს, სადაც მუსიკის მასწავლებელმა ნუკის ახარა, რომ მის შვილებს აბსოლუტური მუსიკალური სმენა ჰქონდა. ნუკიმ ოჯახის წევრებსაც აუწყა ეს სასიხარულო ამბავი. ყველა გახარებული იყო იმით, რომ განგებამ ლამაზი და ჯანმრთელი გოგონები გამორჩეული ნიჭითაც დააჯილდოვა. ბავშვები საბავშვო ბაღის ყველა საზეიმო კონცერტზე მომხიბვლელად მღეროდნენ. მხიარულად გაიარეს ბაღის პერიოდიც, შემდეგ კი სკოლაში შევიდნენ და თავიანთი მუსიკალური და ვოკალური მონაცემებით აქაც აღაფრთოვანეს პედაგოგები. ერთ დღეს პედაგოგმა ნუკის აუწყა, რომ გოგონები სამთავრობო კონცერტში მიიღებდნენ მონაწილეობას და მათთვის საუკეთესო კაბა უნდა შეეძინათ. ის, რომ გოგონები დღითიდღე წარმატებულები ხდებოდნენ, ნუკის ძალიან ახარებდა, მაგრამ მეორე მხრივ, ეს ყველაფერი მნიშვნელოვან პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ოჯახის ბიუჯეტი აღარ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ბავშვები განსაკუთრებულად გამორჩეულები ყოფილიყვნენ. არადა, გოგონებმა უკვე ოჯახში ხმასაც აუმაღლეს. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ, არავითარი ხელის შეშლა არ ჰქონოდა მათ კონცერტებში მონაწილეობას. ოჯახის წევრებმა ბევრი იფიქრეს, როგორ გაეუმჯობესებინათ ეკონომიური მდგომარეობა, რამდენიმე დღის მსჯელობის შემდეგ კი ნუკიმ მიიღო გადაწყვეტილება, რამდენიმე წლით გერმანიაში, თავის ნაცნობ ქვეყანაში წასულიყო სამუშაოდ...

და, აი ნუკი უკვე ბონშია, თავის საყვარელ ქალაქში, სადაც ბევრი კარგი მეგობარი ჰყავს. მეგობრებმა იგი ნაცნობ ოჯახში მიიყვანეს. ნუკიმ გერმანული კარგად იცოდა,

გარდა ენისა, ადამიანებთან ურთიერთობაც ძალიან ეადვილებოდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად აეწყო. ეს იყო, ოჯახის წევრების მონატრება ანუხებდა. გოგონებმა მალე თეატრალურ სტუდიაში ჩააბარეს. სისტემატურად მონაწილეობდნენ მუსიკალურ სპექტაკლებში. მათი საშემსრულებლო ოსტატობა და სასცენო კოსტუმები მაყურებლის დიდ ოვაციას იწვევდა. გოგონები რამდენჯერმე საგასტროლოდ საზღვარგარეთაც გაემგზავრნენ. ამ ყველაფერს კი ისინი, რა თქმა უნდა, დედის დახმარებით ასერებდნენ. ამასობაში ხუთი წელი გავიდა. ქმარი უკვე იშვიათად ეკონტაქტებოდა, შვილების მოთხოვნილება კი დღითიდღე მატულობდა, რაც თავისთავად ფულთან იყო დაკავშირებული. ნუკი ყოველდღე ელოდა, რომ ოჯახის წევრები სამშობლოში დაბრუნებაზე დაელაპარაკებოდნენ, მაგრამ ამოღ...



რამდენიმე წლის შემდეგ, როცა გადანყვიტა ოჯახში დაბრუნება, შვილებმა სთხოვეს, – დედა, ცოტა ხნით კიდევ იყავი, რა, ხომ იცი, ახლა უფრო გჭირდება შენი თანადგომა, ნუკისაც სხვა რა გზა ჰქონდა, დარჩა და განაგრძო მუშაობა. მართალია, იგი გერმანიაში ძალიან კარგ ოჯახში იყო, მაგრამ მას უკვე დაეწყო ფსიქოლოგიური პრობლემები, მიხვდა, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა მისი აქ გაჩერება და თვრამეტი წლის შემდეგ, ისე, რომ ოჯახის წევრებისთვის არაფერი უთქვამს, საქართველოში გაემგზავრა. აეროპორტიდან სახლამდე ტაქსით მივიდა. ხელები უკანკალებდა, ზარი ძლივს დარეკა. კარი დედამთილმა გაუღო, ერთმანეთს გადაეხვივნენ, ოთახში შევიდნენ. გოგონები სარკის წინ ტრიალებდნენ. ნუკიმ ხელები მაღლა ალაპყრო და გულიდან ამოხეთქილი ხმით დაიძახა:

– ჩამოვედი! სულ ჩამოვედი! – შვილებს გულში იკრავდა, ცრემლებად იღვრებოდა.

– რა ბედნიერი ვარ, ასე მეგონა, უკვე ვეღარ ველირსებოდი თქვენს ნახვას, ჩემო კარგებო, ჩემო ლამაზებო, ჩემო მშვენიერებო – ცოტა ხნის მერე, სული რომ მოითქვა, მისუსტებული ხმით იკითხა, – მამა სად არის?

– ამ კითხვამ შვილებიც და ბებიაც დააბნია. ნუკი გაკვირვებული შესცქეროდა თითოეულ მათგანს, პასუხს არც ერთი არ სცემდა, თუმცა მალევე გაირკვა, რომ ნუკის მეუღლემ უკვე შვიდი წელია, ცოლი შეირთო და მასთან გადავიდა საცხოვრებლად.

– რა ვიცი შვილო, ასე მოხდა, ნეტა მართლა ადრე ჩამოსულიყავი, – დანანებით უთხრა დედამთილმა. გოგონებმა კვლავ სარკესთან ტრიალი განაგრძეს, თან ჩანთებისკენ თვალს აპარებდნენ. ნუკიმ სევდიანი ღიმილით შვილებს უთხრა, საჩუქრები ენახათ. გოგონებმა იმნამსვე გახსნეს ჩანთები, მშვენიერი კაბებიც მოირგეს და მორთულ მოკაზმულნი მეგობრის დაბადების დღეზე გაეშურნენ. ნუკის დედამთილმა დაუყვავა, ავახშმა და სთხოვა, დაესვენა, ქანგანყვეტილ ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია და დასაძინებლად დანვა. დაღო თუ არა ბალიშზე თავი, იმნამსვე ჩაეძინა. დღით მზის სხივებმა შემოანათეს ოთახში. მთელ სხეულში სითბო ჩაეღვარა. უნდოდა მხოლოდ კარგზე ეფიქრა, მოგონებებით წარსულში გადავიდა, ამ დროს დედამთილმა ჩაი და ორცხობილა შემოუტანა. ნუკი კარს უყურებდა, ეგონა გოგონები ჟივილ-ხივილით შემოცვივდნენ საძინებელში და დედას გულში ჩაიკრავდნენ...

**– ბავშვები სად არიან?**

– ბავშვები რეპეტიციებზე წავიდნენ, გეძინა და არ შე-  
მოვიდნენ. ესენიც ძალიან იღლებიან, შვილო, მთელი დღე  
რეპეტიციებზე არიან. წელს კიდევ უმაღლესში უნდა ჩა-  
აბარონ. საზღვარგარეთ უნდათ სწავლის გაგრძელება,  
ნამდვილად არ მინდა საქართველოდან წავიდნენ, იქნებ  
დაელაპარაკო და გადააფიქრებინო. კარგია უცხოეთში  
სწავლა, მაგრამ მეშინია, ვაითუ აღარ დაბრუნდნენ.

**– კეთილი, დაველაპარაკები.**

– ჰო, კარგი, შვილო, ახლა ისაუბრე და ისევ დაისვე-  
ნე, ამასობაში ბავშვებიც მოვლენ და მერე ერთად ვისადი-  
ლოთ, – დედამთილი ფრთხილი ნაბიჯებით გავიდა ოთა-  
ხიდან. ნუკის კვლავ ჩაეძინა, ირაკლი ესიზმრა, პირველი  
პაემანი, როცა სამუდამო სიყვარული შეჰფიცეს ერთმა-  
ნეთს ახალგაზრდებმა, მერე სიზმარშივე რალაცაზე ცხა-  
რედ ტიროდა. გაეღვიძა. სწრაფად წამოდგა. ტანზე ჩაიცვა  
და თითების ნერვული მოძრაობით ირაკლის მობილურის  
ნომერი აკრიფა, დაკავებული იყო. გარეთ გამოვიდა, იქვე  
სკვერში ჩამოჯდა, ცოტა ხანში გოგონებიც გამოჩნდნენ,  
სახლში ბრუნდებოდნენ, თან რალაცაზე ცხარედ კამა-  
თობდნენ. ნუკი შინ აღარ შებრუნებულა, წამოდგა და გზა  
განაგრძო. ამ დროს მისმა მობილურმა დარეკა.

– ალო, გისმენთ!

– ირაკლი გამარჯობა.

– ნუკი?

– ჰო, ნუკი ვარ. სად და როდის შეიძლება გნახო? უფრო  
სწორად რაც შეიძლება, მალე უნდა გნახო.

– უნივერსიტეტის სკვერში ვიქნები ნახევარ საათში.

– კარგი, შევთანხმდით.

ორივე დროზე აღრე მივიდა ახალგაზრდობის დროი-  
ნდელ შეხვედრის ადგილზე. ხელი უღიმღამოდ ჩამოართ-  
ვეს ერთმანეთს და ბალის სკამზე ჩამოსხდნენ. ცოტა ხანს  
უსიტყვოდ იყვნენ, შემდეგ სიჩუმე ისევ ნუკიმ დაარღვია.

– როგორ ხარ ირაკლი?

– არა მიშავს. სულ ჩამოხვედი? – ამ შეკითხვამ ნუკის  
სისხლი გაუყინა.

– ჰო, სულ ჩამოვედი.

– ნუკი, იცი რა, ახსნაც არ შემეძლია...

– ახსნა რა საჭიროა, ისედაც ყველაფერი გასაგებია.

– ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

– ნუკი, ჩვენი ბავშვები ერთმანეთთან ძალიან კარგად  
არიან, ერთმანეთი უყვართ.

– ჩვენი ბავშვები?

– ჰო, ჩემი ბიჭი და ჩვენი შვილები. ძალიან უხარია,  
როცა გოგონები ჩვენთან მოდიან ხოლმე.

– ჰოო, ძალიან კარგი.

– ნუკი ფიქრებში წავიდა, ვერ გარკვეულიყო, საერთოდ



უნდა შეხვედროდა თუ არა ირაკლის. ისინი უცხო ადა-  
მიანებით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. მეტი მოთმენა  
აღარ შეეძლო, სწრაფად წამოდგა და ირაკლის სვედიანი  
თვალებით შეხედა.

– უნდა წავიდე, მეჩქარება.

– მოიცა გაგაცილებ.

– არა, არ არის საჭირო.

– დაგირეკავ.

– ჰო, კარგი – ნუკი სწრაფი ნაბიჯებით გაეცალა იქაუ-  
რობას. სკვერიდან რომ გამოდიოდა, ყოფილი ლექტორი  
შეხედა.

– მოიცათ, თქვენ ნუკი არ ხართ?

– დიას, ბატონო გიორგი, როგორ ბრძანდებით?

– მე კარგად, ჩემო საუკეთესო სტუდენტო, შენ როგორ  
ხარ, სად მუშაობ, ოჯახში ხომ სიმშვიდე გაქვს, რალაც ძა-  
ლიან აფორიაქებული მეჩვენები.

– კარგად ვარ, გმადლობთ.

– რატომ ერთხელაც არ გამოგვივლი.

– ძალიან დაკავებული ვიყავი ბატონო გიორგი, აუ-  
ცილებლად გამოგივლით – ლექტორმა შეატყო ნუკის, რომ  
საუბარს თავს არიდებდა, თუმცა მიზეზი აღარ უკითხავს  
და ისიც სწრაფად დაემშვიდობა.

ნუკი გულდამძიმებული გაუყვა გზას სახლისკენ. მის-  
ვლისთანავე საძინებელში შევიდა. ლოგინზე პირქვე დაემხო  
და გულამომჯდარი ატირდა. იგი ტიროდა თავის ახალგა-  
ზრდობას, ტიროდა დაკარგულ სიყვარულს, გაუცხოებულ  
შვილებს, გაურკვეველ მომავალს... გადანყვიტა შვილებ-  
თან გულახდილად ესაუბრა, მაგრამ გოგონები მეგობრის  
აგარაკზე წასულიყვნენ რამდენიმე დღით. ნუკი სავარძელ-  
ში მძიმედ ჩაეშვა, ბევრი იფიქრა, მის თვალწინ მთელმა  
ცხოვრებამ გაირბინა. მერე სწრაფად წამოდგა, ჩემოდანი  
ჩაალაგა, რამდენიმე სიტყვით აუხსნა დედამთილს თავისი  
გადანყვიტობა და კვლავ გერმანიაში დაბრუნდა.

*ქეთევან კუკულავა*

**სოკრატე**

ერთ დღეს სოკრატეს თავს დაესხა კაცი, იგი უხეში და უზრდელი იყო. როგორი რეაქცია ჰქონდა სოკრატეს?  
არ უყვორა, არც უხეშად უპასუხა, როდესაც ერთ-ერთმა მოსწავლემ ჰკითხა თავის საქციელზე, ფილოსოფოსმა –  
ჰკითხა, ვირმა ნიხლი რომ დაგარტყას, სასამართლოში უჩივლებ?...  
სოკრატე გვასწავლის: ინტელექტუალი ადამიანი სულელის დონეზე არ უნდა დაეცეს, ზოგჯერ დუმილი ყველაზე  
ელეგანტური პასუხია. შემთხვევითი არ არის, სიტყვა – ელეგანტურობა ლათინურიდან წარმოიშვა, რაც სინათლეს  
ნიშნავს.

ასე რომ, ელეგანტურობა არ გულისხმობს ლამაზი ტანსაცმელით და ძვირადღიებული ნივთებით შემკულს, არა-  
მედ დახვეწილ ადამიანს, ვინც იცის, როგორ მოიქცეს, როდის ისაუბროს და როდის გაჩუმდეს!..

☺☺☺

გურული მეგობარს დასტირის:  
– ეს რა მოგსვლია, შე სანყალო, ერთი კვირის წინ რომ გნახე, რა კარგად იყავი.

მიცვალებულის ცოლი – არ იყო კარგად, არა.

– გუშინწინ არაფერი გეტყობოდა სასიკვდილო, კარგად იყავი.

ცოლი – არ იყო კარგად არა.

– გუშინაც, ჯოკერს რომ ვთამაშობდით, ისე კარგად იყავი.

ცოლი – არ იყო კარგად არა.

გურული – ე ქალო, მაცალე ტირილი, რაცხა იყო, ამას ხო ჯობდა.

☺☺☺

რესტორანში ზის გურული ქალი. მასთან მამაკაცი მიდის და ეკითხება:

– ქალიშვილო, თქვენ ცეკვავთ?

– აბდალი თუ არ ხარ, ვერ ხედავ, რომ კი არ ცეკვავ, ვზივარ და ვჭამ?!  
– რაა აი, ვერტალიოტი დაკალით თუ?!

☺☺☺

გურული ტბაზე თევზაობს. ამ დროს რეინჯერები ეუბნებიან:

– უნდა დაგაკავოთ, აქ თევზაობა აკრძალულია!

– ჩემს დაჭერილ თევზს ხედავთ, ძამა, სადმე? – გაიკვირვა გურულმა.

– არა.

– აჰა, ჩემს ჭიაყელას საცხა ვაბანავებ, მაი არაა თქვენი საქმე!

☺☺☺

ავტოკატასტროფის შემდეგ, გურული აზრზე მოდის საავადმყოფო – აი სად ვარ მე, სამოთხეში?

ცოლი:

– მომინდომა სამოთხე, შემომხედე, აგერ ვარ!

☺☺☺

გურულების ახალი სადღეგრძელო:  
– რაც მსოფლიოში ატომური ბომბია, სუყველა მშვიდობიანად აფეთქდეს, ძამა!

☺☺☺

გურული გასაუბრებაზეა:

– თქვენი საქმიანობის სფერო?

– აფერისტი!

– როგორ თუ აფერისტი?! რას აკეთებთ ასეთს?

– აფერს!

☺☺☺

– ქალბატონო, რატომ ჩაარტყით ქმარს თავში ტაფა?

– დედაია, ამასაც ნებართვა უნდა?! – შეიცხადა გურულმა ქალმა.

☺☺☺

გურიაში ჭორიკანა ქალი გარდაიცვალა. მეზობლები დასტირიან:

– ადე, ცა, ზეზე, რაფერ გვტიებ ინფორმაციულ ვაკუუმში!

☺☺☺

გურული სტუმრადაა...

ოთხჯერ ამოუსვა კოვზი ჩახობილში და ოთხივეჯერ ფრთა ამოვიდა.

– რაია აი, ვერტალიოტი დაკალით თუ?!

☺☺☺

გურული მივიდა ექიმთან, – ექიმო, ვკვდები კაცი, მიჭირს, ნელ-ნელა ვშარდავ...

ექიმმა გასინჯა და პროსტატის ნამლები გამოუწერა.

მივიდა გურული აფთიაქში, იანგარიშა გოგონამ და უთხრა, 87 ლარის არის თქვენი ნამლები.

– მომე, ჩემო დაია, მაი რეცეპტი და ნევედი სახლში, ნელ-ნელა მოვფსამ, არსად მეჩქარება მე!

☺☺☺

გურული ცოლი ეკითხება ქმარს:

– რა გაჩუქო დაბადების დღეზე?

– ნუთიერი დუმილი.

☺☺☺

გურულს კახეთში დაპატიჟებენ ქელეხზე. გადახედავს სუფრას და გადაირევა – ხაშლამა, შილაფლავი, მწვადი, შემწვარ-მოხრაკული... აღფრთოვანებული ნამოიძახებს:

– ა, ძამა, ხალხი! ა, ძამა, სუფრა! რა უნდა კტარს გურიაში?! კტარი სულ კახეთში უნდა იყოს!

☺☺☺

გურული ღმერთს ეხვეწება:  
– ღმერთო, რომ ხარ, ქე ვიცი! რა მინდა – ქე იცი! აბა, შენ იცი!

☺☺☺

გურულმა ესპანეთისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების თამაშზე დააგვიანა. შეხედა ტაბლოს და 6-0 ესპანეთის სასარგებლოდ.

– დიდი ხანია დეიწყო? – ეკითხება გვერდით მჯდომს.

– არა, ახალი დანწყებულია...

– აჰა, აგი ბურთები ესპანელებმა გატანილი ჩამეიტანეს?

☺☺☺

სვანი, კახელი, გურული და ერთი ესპანელი მატარებელში სხედან.

გურული გახედავს ესპანელს და ეტყვის:

– ჩაი, ძამა, მატარებლიდან, ვერ ხედავ, რაფერ ანეკდოტს აფუჭებ?!

☺☺☺

ორი გურული შეხვდა ერთმანეთს:

– ბიჯო, გუშინ ტუალეტი გამიტეხეს.

– რა წეილეს, ძამა?

☺☺☺

გურულმა თქვა, ჭკვიანი აზრები მუდამ თან მსდევს, მარა რად გინდა ძამა, მე უფრო სწრაფად დავრბივარ!..

☺☺☺

თვითმფრინავმა ვარდნა დაიწყო.

გურულმა ერთადერთი პარაშუტი აიღო და იცვამს.

– არ გრცხვენია, სალონში ამდენი ქალია, – ეუბნება სტიუარდესა.

– რას ამბობ, სიყვარულიზა მცალია ახლა მე?..

☺☺☺

სიდედრი ეუბნება სიძეს:

– ახალგაზრდობაში მახინჯი ვიყავი, საშინელი ხასიათი მქონდა და ყველას ნერვებს ვუშლიდი.

– წლებმა ვერაფერი დაგაკლოთ, დედი! – უთხრა კომპლიმენტი გურულმა სიძემ.


 პროფ. ჯორჯანიას და პროფ. ხომასურძის რეპროდუქციული ინსტიტუტი  
 სამედიცინო-პრეკლინიკული კონფერენცია  
 "რეპროდუქციული უაწიველობა საქართველოში"  
 11 თებერვალი 2023  
 აკაკიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, სტრუქტურული ინიციატივა, ი. ჭავჭავაძის ქ.




 პროფ. ჯორჯანიას და პროფ. ხომასურძის რეპროდუქციული ინსტიტუტი  
**- ვიტამინი და მისი მნიშვნელობა**  
 დაგვიკავშირდით : 832 24 00 99;  
 832 24 00 98.  
 დამხმარებელი სექციის ხელმძღვანელი: ნანა კვაშიაძე




 პროფ. ჯორჯანიას და პროფ. ხომასურძის რეპროდუქციული ინსტიტუტი  
**დაავადებით ვიზიტი**  
 032 24 00 99  
 032 24 00 98  
 მან-მინერალოგი ნინო ღაბიძაძე




 პროფ. ჯორჯანიას და პროფ. ხომასურძის რეპროდუქციული ინსტიტუტი  
**დაავადებით ვიზიტი:**  
 032 24 00 99  
 032 24 00 98  
 მამოლოგი - ირინე მარღანიანი




 პროფ. ჯორჯანიას და პროფ. ხომასურძის რეპროდუქციული ინსტიტუტი  
**როდის მივმართო ბავშვთა გინეკოლგს?**  
 ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგ - რეპროდუქციოლოგი: სადომე საბუღუა  
 დაგვიკავშირდით: 032 224 00 99;  
 032 224 00 98.




 პროფ. ჯორჯანიას და პროფ. ხომასურძის რეპროდუქციული ინსტიტუტი  
**ღიმუტციტიმუნია**  
 მეან-გინეკოლოგი ნატალია რუსაკოვა  
 დაგვიკავშირდით: 032 224 00 99;  
 032 224 00 98.




 პროფ. ჯორჯანიას და პროფ. ხომასურძის რეპროდუქციული ინსტიტუტი  
**როდის მივმართო ბავშვთა გინეკოლგს?**  
 ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგ - რეპროდუქციოლოგები: ნანა ჩიფიკაშვილი; სადომე საბუღუა.  
 დაგვიკავშირდით: 224 00 99;  
 224 00 98.




 პროფ. ჯორჯანიას და პროფ. ხომასურძის რეპროდუქციული ინსტიტუტი  
**დაავადებით ვიზიტი:**  
 032 24 00 99  
 032 24 00 98  
 მედი-რეპროდუქციოლოგი - ვკატერინე ჟანდუჩია




 პროფ. ჯორჯანიას და პროფ. ხომასურძის რეპროდუქციული ინსტიტუტი  
**რა ინვესტს საშვილსნოს მიომას და როგორია მისი მკურნალობის მეთოდები?**  
 მეან-გინეკოლოგი, რეპროდუქციოლოგი თინათინ ღირცხადაძე  
 დაგვიკავშირდით: 224 00 98;  
 224 00 99.




 პროფ. ჯორჯანიას და პროფ. ხომასურძის რეპროდუქციული ინსტიტუტი  
**დაავადებით ვიზიტი:**  
 032 24 00 99  
 032 24 00 98  
 მედი-რეპროდუქციოლოგი - გიორგი წარიალაშვილი





e-mail: [info@reproinstitute.ge](mailto:info@reproinstitute.ge)

მისამართი: თბილისი, თევედორე მღვდლის ქ. №13, VII სართული  
 ტელეფონი: (995 32) 2 24 00 99

# Homeopathic and Georgian Traditional Medicine Clinic “FAMILY DOCTOR”



ჰომეოპათიური და ქართული ტრადიციული მედიცინის კლინიკა  
„**ოჯახის მკურნალები**“



კლინიკის დირექტორი: ეკოლოგიის მეც-  
ნიერებათა აკადემიის წევრი თორნიკე  
ალაშვილი. კომპლექსური მკურნალობა  
ხერხემლის პრობლემების, ღვიძლის, ბრ.  
ასთმის, ფსორიაზის, აუტიზმის.

კლინიკა ოჯახის მკურნალები-ს მისამართი:  
ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი №28 ალექსანდრე ჯავახიშვილის №28  
ბელ: (+995) 2 98 64 86; 5 99 55 99 61  
www. Curamediana.Ge

